საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 148 (950) | სამშაბათი, 23 აგვისტო, 1994 წელი | ფასი 30000 კუპონი.

ოფიციალური ინფორმაცია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო:

აფხაზეთ-თათრეთის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ვალდებულებებს

მოსკოვი, 21 აგვისტო. (იტარ-ტას-საქინფორმი). „აფხაზეთთან თათრეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის თებერვლის ხელშეკრულებიდან“. ეს ნათქვამია იტარ-ტასში მიღებულ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში იმასთან დაკავშირებით, რომ 1994 წლის 17 აგვისტოს ყაზანში დაიდო თათრეთისა და აფხაზეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ხელშეკრულება უშუალოდ ეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის სფეროებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 71 მუხლის საფუძველზე მის გამგებლობას განეკუთვნება. „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და თათრეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა წარმოების საგნების გამიჯვნისა და ურთიერთდელეგირების შესახებ“ რუსეთის ფედერაციისა და თათრეთის რესპუბლიკის ხელშეკრულების შესაბამისად რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ დაამყარონ ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და დადონ მათთან შეთანხმებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და საერთაშორისო ვალდებულებებს“.

„რუსეთი თანამიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, — ნათქვამია დოკუმენტში.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთსა და საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას, ეკონომიკურ და სხვა დახმარებას აფხაზეთის მრავალტანჯული მოსახლეობისადმი, რომელმაც ომი გადაიტანა, მაგრამ დაუშვებელია ამ ურთიერთობაში პოლიტიკური ამბიციების შეტანა“, — ხაზგასმულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის ივლის-აგვისტოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილ-დეკემბრის ბიუჯეტის დამტკიცებამდე საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საერთაშორისო ბანკის ივლისის მისიის რეკომენდაციების განხორციელებისა და სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით გამოყენების მიზნით სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის ივლის-აგვისტოს რესპუბლიკური ბიუჯეტი (საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 30 ივლისის № 537-II-ს დადგენილებით გათვალისწინებული შემოსავლების, გასავლისა და ბანკის კრედიტის გარდა): შემოსავლის საერთო მოცულობა 1945 მლრდ კუპონის, ხარჯებისა — 11,045 მლრდ კუპონის ოდენობით თანახმად დანართისა.

საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის ივლის-აგვისტოს რესპუბლიკური ბიუჯეტის გასავლის შემოსავალზე გადანამეტის (დეფიციტის) ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 9100 მლრდ კუპონის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის ივლის-აგვისტოს რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დაევალა გამოყოს გრძელვადიანი კრედიტი 3 ტრილიონი კუპონის ოდენობით ხუთი წლის ვადით და ერთპროცენტიანი სარგებლის (წელიწადზე გაანგარიშებით) გადახდით, ხოლო 6100 მილიარდი კუპონი მიეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის შიდა ვალს.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში უნდა წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კონკრეტული წინადადებები აღნიშნული შიდა ვალის გაფორმების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის საკითხი გა[illegible]ოლოდ დაფინანსების სათანადო სახსრების გამოძებნის პირობებში.

ე. შევარდნაძე.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციას

21 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია სოფლის მეურნეობის მინისტრის რეფაიდინ შაჰინის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ თურქეთის საზღვრისპირა ვილაიეთების გუბერნატორები, პარლამენტის წევრები, ბიზნესმენები.

ბატონმა შაჰინმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა თურქეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის საუკეთესო სურვილები.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის გაღრმავებაზე.

სახელმწიფოს მეთაურმა სტრატეგიული მნიშვნელობა მიანიჭა თურქეთიდან გაზსადენი მილების გატარებას საქართველოს ტერიტორიაზე, სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ, ახალციხიდან ახალი გზის გაყვანას თურქეთის რესპუბლიკისაკენ და ორ ქვეყანას შორის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას.

სტუმრებმა სახელმწიფოს მეთაურს წარუდგინეს თურქი არქიტექტორების მიერ მომზადებული, საქართველოსათვის გათვალისწინებული უნივერსიტეტო კომპლექსის პროექტი, რომლის მშენებლობასაც ქართველი და თურქი სპეციალისტები ახლო მომავალში დაიწყებენ თბილისში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

მძიმე კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღების მიზნით ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებისათვის დახმარების გაწევის შესახებ

ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში მძიმე კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღების მიზნით მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (შ. კვირაია) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან (ი. გიორგაძე) ერთად ჩამოაყალიბოს და აღნიშნულ რაიონებში მიავლინოს გამოცდილი ოპერატიულ მუშაკთა სპეციალური ჯგუფი, აგრეთვე, 20-25-კაციანი ჯგუფი სპეციალური დანიშნულების რაზმიდან.
2. გაწეული მუშაობის შედეგები მომახსენონ 1994 წლის 25 სექტემბრამდე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტი შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაში.
2. დაინიშნოს ზურაბ მიხეილის ძე [illegible] საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ და გათავისუფლდეს იგი საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

ე. შევარდნაძე.

„ადრე თუ გვიან პოლიტიკურ მოვლენებში კანონზომიერების პრინციპი გაიმარჯვებს“

— გასულ კვირას მოსკოვიდან დაბრუნდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია. სხვა საკითხებთან ერთად იქ აფხაზეთის პრობლემებზეც იყო საუბარი. თქვენ შეხვდით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობას, აფხაზეთის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრას ესწრებოდა თავდაცვის მინისტრი გენერალი ვარდიკო ნადიბაიძე. ამიერკავკასიის ჯარების შტაბ-ბინასთან მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით გაიმართა ქალთა აქცია. კვლავ გრძელდებოდა აფხაზეთიდან ლტოლვილთა აქცია, სადაც ხმამაღლა ითქვა, რომ თუ არ დაიწყო ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი, აქციის მონაწილეები სტიქიურად დაუბრუნდებიან მშობლიურ მიწას. და რაც ყველაზე სიმბოლურია, ეს აქცია მიმდინარეობს სოფელ რუხში, იქ, სადაც წინათ ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის აღსანიშნავი დღესასწაულები იმართებოდა...

— ჟურნალისტ **ნათო ონიანის** ამ შეკითხვაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— აფხაზეთთან დაკავშირებით, როგორც იტყვიან, მოთმინების ზღვარს ვუახლოვდებით. იმ კონტაქტების მიხედვით, რომლებიც გენერალ ნადიბაიძეს, გენერალ კვირაიას, ბატონებს ჯაბა იოსელიანს, სანდრო კავსაძესა და სხვებს აქვთ რუსეთის შესაბამის სტრუქტურებთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან უნდა დაიძრას. რა თქმა უნდა, კონტაქტები მაქვს მეც, ამის შესახებ მოგვიანებით ვიტყვი.

ახლაც ჩვენი ინტერვიუ გვარიანად დაგვიანდა იმის გამო, რომ ველოდებოდი ბატონ ნადიბაიძის სატელეფონო საუბრის შედეგს რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილესთან გენერალ კონდრატიევთან. ეს იყო კარგი და იმედისმომცემი საუბარი.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა გალსა და სხვა რაიონებში დისლოცირებული ის ნაწილები, რომლებიც მანამდე იყო შეყვანილი. საჭირო გახდა რუსეთის შიდა რაიონებიდან დამატებითი სამხედრო ნაწილის გადმოსროლა. ასეთი ეშელონები უკვე წამოსულია და უახლოვდება ჩვენს საზღვრებს. მთავარია მათი განლაგების პრობლემა და ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უახლოეს დღეებში მოგვარდება. ანგარიშგასაწევია ის, რომ ჩვენ უსაფრთხოდ დაბრუნება გვაინტერესებს და არა ისეთ პირობებში, როცა უიარაღო ადამიანები დაუცველი აღმოჩნდებიან, — აქედან გამომდინარე უმძიმესი შედეგებით. ვფიქრობ, ეს კვირა უმნიშვნელოვანესი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილია.

— რა გავლენას მოახდენს აფხაზეთის პროცესზე შემდეგი მოვლენები: არძინბა ხელს აწერს ხელშეკრულებებს; კაზაკებს, რომლებიც აფხაზეთის ომში აფხაზების მოკავშირეები იყვნენ, უფუჭდებათ ურთიერთობა აფხაზებთან; არძინბა ჩეჩნეთში აგზავნის 200 ბოევიკს; თავად ჩეჩნეთში უაღრესად დაძაბული ვითარებაა, იმ დონეზეც კი, რომ ასპარეზზე ხასბულატოვი გამოჩნდა... რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა მწვავე რეაქცია თათრეთთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია: გარდა იმისა, რომ ხელშეკრულება თათრეთსა და აფხაზეთს შორის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, იგი „ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რუსეთის ფედერაციის ვალდებულებებს“. იგულისხმება 3 თებერვლის დიდი ხელშეკრულება. აღნიშნულია, რომ რუსეთი კვლავაც იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი...

— არძინბას ვოიაჟს ამ ეტაპზე ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაგირება ასევე დროული, ადეკვატურია და ამასთან დაკავშირებით მინდა კმაყოფილება გამოვთქვა. ვინც წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ დაიკავა საკმაოდ შეურიგებელი სამართლიანი და ობიექტური პოზიცია. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ აქციისადმი საკმაოდ პრინციპული პოზიცია დაიკავეს აგრეთვე რუსეთის ფედერაციის რიგმა სუბიექტებმა.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ადრე თუ გვიან პოლიტიკურ მოვლენებში კანონზომიერების პრინციპი გაიმარჯვებს. საქმე სწორედ აქეთკენ მიდის. აქვე დავძენ, რომ, როცა კანონის პრინციპის წარმატებაზე ვლაპარაკობ, გამონაკლისი არც საქართველო იქნება.

— საქართველოს ეწვია თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი — ბატონი შაჰინი. მასთან ერთად იყვნენ თურქი გუბერნატორები და ბიზნესმენები. თურქეთში თქვენი ვიზიტის დროს სწორედ სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეხვედრისას მნიშვნელოვანი პერსპექტივა გამოიკვეთა. ამჟამად თურქ მინისტრს ახლად დანიშნული ქართველი კოლეგა დაახვედრეთ. რა არის ეს? ერთეული შემთხვევა, თუ, როგორც ამას წინათ ბრძანეთ, მინისტრთა კაბინეტის გადახალისების პროცესის დასაწყისი? გაგრძელდება თუ არა სამინისტროების გამსხვილების პროცესი?

— თავისთავად აღებული ბატონ შაჰინის ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც და საერთოდ საქართველო-თურქეთის ურთიერთობისათვის. რამდენიმე გუბერნატორი, დეპუტატების ჯგუფი, პრესის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები — ასეთია ამ დელეგაციის შემადგენლობა. თურქეთთან ურთიერთობა ისეთ ფაზაშია, როცა უკვე კონკრეტულ საქმეებსა და კონკრეტულ პროგრამებზე გვიხდება საუბარი. ეს დღეები უაღრესად ნაყოფიერია, გამოიკვეთა ბევრი პროექტის პერსპექტივა. ჩემთან შეხვედრისას რიფაიდინ შაჰინმა, რომელსაც კარგა ხანია ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ, არაერთხელ გაამახვილა ყურადღება საქართველოში სტაბილურობის მნიშვნელობაზე. მათ დაინახეს, რომ საქართველოში დაიძრა საქმე და ახლა საქართველოსთან მუშაობის, ურთიერთობის განვითარების სურვილი გაუჩნდათ სახელმწიფო ორგანიზაციებსაც, ბიზნესმენებსაც და ა. შ. კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ დელეგაციაში წარმოდგენილი არიან საქართველოს მოსაზღვრე რეგიონების გუბერნატორები. ბევრი რამ სწორედ ამ გუბერნატორებთან ურთიერთობაში უნდა გადაწყდეს.

რაც შეეხება სამინისტროების გამსხვილების საკითხს, ანუ, როგორც ზოგიერთი მოითხოვს, მინისტრთა კაბინეტის დაუყოვნებლივ რეორგანიზაციას — ჩვენი მზადყოფნისა და აუცილებლობის, მიზანშეწონილობის შესაბამისად ეს გეგმაზომიერად წარიმართება.

— პარლამენტის რიგგარეშე სხდომა კვორუმის უქონლობის გამო ჩაიშალა. მაშინ გადაწყდა სწორედ, რომ თქვენთან დაწყებულიყო პარტიებისა და ფრაქციების კონსულტაციები. ხვალიდან ეს კონსულტაციები იწყება. რას ელით მათგან? რამდენად აუცილებლად და მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ საპარლამენტო არდადეგების დროს ასეთი შეხვედრები?

ედუარდ შევარდნაძის 22 აგვისტოს რადიოინტერვიუ

— ამ კონსულტაციებს სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებ, შეხვედრები მოეწყობა დღის წესრიგის გარეშე, ე. ი. საუბარი შეეხება ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს. მათ შორის, პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესების, სახელმწიფოებრივი მშენებლობის, კონსტიტუციის შემუშავების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს. რა თქმა უნდა, გაიმართება დიალოგი აფხაზეთის, სამაჩაბლოს პრობლემებზე და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით, მოვუწოდებ ყველას: ვიზრუნოთ კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის ქვეყნის გადასარჩენად.

ვერაფრით ვერ გამიმართლებია ისეთი საქციელი, როცა ერთ-ერთი პარტიის ლიდერი ეზო-ეზო დადის და მეგაფონით ხელში მოუწოდებს მოსახლეობას ხელისუფლების საწინააღმდეგო აქტიური მოქმედებისაკენ, გამოსვლებისაკენ. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მოქალაქეები პროტესტს გამოთქვამენ ასეთი მოქმედების მიმართ. ქუჩაში გამოსვლა, ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართვა, გაფიცვები, პროტესტები და ა. შ. საქმეს რომ შველოდეს — გარწმუნებთ, რომ პირველი მე გავიდოდი ქუჩაში.

ასეთი ტიპის მოღვაწეებს მინდა ვუთხრა: ბატონებო, ჩაიხედეთ სარკეში, თუ სარკე არ გაქვთ, წყლის გუბეში მაინც, და შეხედეთ თქვენს თავს, როგორ გამოიყურებით, როგორც მოქალაქენი და როგორც პოლიტიკოსები ამ გაჭირვების დროს, როცა ქვეყანა სტაბილიზაციის ფაზაში შედის, ისევ არეულობისაკენ რომ მოუწოდებთ.

პოლიტიკური ძალების ურთიერთობის გასარკვევად, ვფიქრობ, ასეთი ფორმა არ არის ყველაზე უფრო უკეთესი საშუალება. არსებობს კონსულტაციები, შეხვედრები, არსებობს პარლამენტი და სხვა ფორმები, სადაც უნდა გაირკვეს ეს ურთიერთობა.

— დაბოლოს, ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური შეკითხვა: გასულ კვირას გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას პრესკონფერენცია, სადაც მან განაცხადა, რომ ერთი ეტაპი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა დასრულდა და იწყება მეორე ეტაპი, რომლის მთავარი ამოცანა იქნება მაფიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამის თაობაზე თქვენ არაერთხელ გითქვამთ სხვადასხვა დონის შეხვედრებზე, რადიოინტერვიუებში. რამდენად შესაძლებელია რეალურად დღეს მაფიოზური სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ, როცა მაფიამ ხელისუფლების საკმაოდ მაღალ ეშელონებში შეაღწია, მაშინ, როცა რეკეტი თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა დღევანდელ საქართველოში...

— მე მართლაც არაერთხელ აღმინიშნავს შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარი სასიკეთო ძვრების შესახებ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე საუბარს და მოქმედებას შეუდგნენ ჩემი თხოვნითა და დავალებით. ყველა პრობლემას შორის, რომლებიც საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების წინაშე დგას, მე გამოვყოფდი რეკეტისა და მაფიოზური ჯგუფების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების აუცილებლობას. რეკეტი და მაფიოზური ჯგუფები დღეს ახალი ეკონომიკის განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი ბარიერია. რეკეტი ჩანასახშივე ახრჩობს, სპობს ბიზნესს. ეს ნამდვილი დივერსიაა სახელმწიფოს, ქვეყნის, საზოგადოების წინააღმდეგ. ბევრი მძიცური მკვლელობა, ბარბაროსული ქმედება, ადამიანთა გატაცება და სხვა დანაშაულებანი რეკეტიორებისა და მაფიოზების სინდისზეა. სწორედ მათი დავალებით განხორციელდა მრავალი დანაშაულებრივი აქტი. ენერგეტიკულ კრიზისზე მეტად რეკეტიორები და მაფიოზები ახრჩობენ ეკონომიკას, ეკონომიკის ახალ ყლორტებს. ისინი აბუჩად იგდებენ ადამიანებს, მიწასთან ასწორებენ მათ მოქალაქეობრივ და პიროვნულ ღირსებებს.

გუშინ უშიშროების სამსახურის ახალი სტრუქტურა დავამტკიცეთ. იქაც გავითვალისწინეთ ეკონომიკური დივერსიებისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საკმაოდ მძლავრი, კარგად აღჭურვილი ქვეგანაყოფი. გააქტიურდა პროკურატურის საქმიანობაც. ახლა მთელი სახელმწიფო, მთელი ქვეყანა უნდა დაირაზმოს ამ საშინელი სენის აღმოსაფხვრელად. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს ავადმყოფობა ტრადიციად იქცევა, უკვე გვიან იქნება. ამაზე ლაპარაკობს უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება. საკმაოდ განვითარებული ქვეყნები ათეული წლების განმავლობაში ებრძვიან მაფიოზებსა და რეკეტიორებს და ვერ დაუძლევიათ, რადგან მათ ჩანასახშივე ვერ მოსპეს ეს მოვლენა.

მოვუწოდებთ ყველას, რა თქმა უნდა, უწინარესად სამართალდამცავ ორგანოებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ კოლექტივს, უშიშროების სამსახურის ყველა თანამშრომელს, პროკურატურის მთელ კოლექტივს, ადგილობრივ ხელმძღვანელებს — გამგებლებს, მერებს, სხვებსა და სხვებს, მთელ საზოგადოებრიობას, ერთად ვებრძოლოთ ამ სენს, რომელიც რაღაც გადაულახავ ზღუდედ აღიმართა ეკონომიკის აღმავლობისაკენ, კეთილდღეობისაკენ და ადამიანთა სიმშვიდისაკენ მიმავალ გზაზე.

ამავე დროს ვიცი, რომ ამ ჯგუფებში არიან ადამიანები, რომლებსაც ფეხი აუცდათ, ბევრი მათგანი იქ შემთხვევით მოხვდა. ვიცი, რომ ბევრი იარაღით ხელში იბრძოდა ქვეყნის ინტერესებისათვის, ბევრი კიდეც დაიჭრა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ზოგიერთი მათგანი არ არის შემთხვევითი ადამიანი და მათ ცხოვრების სიდუხჭირემ უბიძგა ამ ავადმყოფობისაკენ. მე მათ მივმართავ: ამ საქმეს მომავალი არა აქვს. ჩვენ ყველას დავეხმარებით, ვინც ამის ღირსია, ახლა მიმდინარეობს პრივატიზაცია, ბოლოს და ბოლოს შეიძინონ ის წილი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საქმეში გამოიჩინონ თავი. სხვა შემთხვევაში ბრძოლა იქნება მართლაც უკომპრომისო და სამკვდრო-სასიცოცხლო, რადგან დღეს ეს ქვეყანას სჭირდება. ნდობა არ ექნება არც ერთ პიროვნებას, ვინც სახელმწიფო სტრუქტურაშია და დაკავშირებულია ან ხელს უწყობს მაფიოზურ კლანებს. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ აქ ზოგადი ლაპარაკი მთავრობაში, ხელისუფლებაში მაფიოზები არიანო, არ შველის საქმეს. როცა ფაქტებს წავაწყდით და გამოვავლინეთ, კიდეც გამომჟღავნდა და კიდეც გახმაურდა. ასე იქნება დღეიდან, ვინც უნდა იყოს, რა რანგის ადამიანებიც უნდა იყვნენ დაკავშირებული ამ ავადმყოფობასთან, ამ მოვლენებთან, ნდობა არავის ექნება. რა თქმა უნდა, ვიმოქმედებთ კანონისა და სამართლის ფარგლებში.

სიმართლე გითხრათ, ამ პრობლემაზე განსაკუთრებით შევჩერდი, რადგან ახლა რეფორმები ახალ მასშტაბებს იძენენ. წუხელ ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი მელაპარაკა, მითხრა, რა გაკეთდა, რა კეთდება ქალაქში კუპონის განმტკიცებასთან დაკავშირებით, მითხრა, რომ 25 აგვისტოს ისინი ამ თემაზე იწყებენ საინტერესო დისკუსიებს სახელმწიფო მოღვაწეების, სწავლულების მონაწილეობით, შეაჯამებენ განვლილ მუშაობას. ამოძრავდნენ სხვა რეგიონებიც. ახლო მომავალში საზოგადოებრიობას შევთავაზებთ ახალ ღონისძიებებს ფულადი მიმოქცევის სფეროში წესრიგის დასამყარებლად, ეროვნული ვალუტის განსამტკიცებლად, ნამდვილ ეროვნულ ვალუტაზე — ლარზე გადასვლისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. ეს იქნება ძნელი, მაგრამ აუცილებლად გასავლელი ეტაპი. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ვიღებთ ზომებს ქვეყანაში აუცილებელი პროდუქტების შემოსატანად. ამ დღეებში ჩვენი თხოვნით ევროპელებმა 8 ათასი ტონა კარაქი გამოგვიგზავნეს. ცოტა სულს მოვითქვამთ, უპირველესად, ლტოლვილები, ქალაქების მოსახლეობა და საზოგადოების დაუცველი ფენები. იქნება სხვა დახმარებაც, შევეცდებით ეს პასუხსაგები ეტაპი განვლოთ ნაკლები დანაკარგებით.

ფასი იქნება დოლარსაც, მანეთსაც. ისე ნუ წარმოიდგენს ვინმე, რომ იქნება მხოლოდ კუპონი და ვისაც მანეთი და დოლარი აქვს, ვერ ისარგებლებს. ეს გამორიცხულია. იდეალურად უნდა მოეწყოს გადამცვლელი პუნქტების მუშაობა. ამის საშუალება ახლა არის. გამოცდილება შევიძინეთ. მოსახლეობას უნდა შევუქმნათ ყველაზე მოხერხებული და ხელსაყრელი გარემო ამ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში. ლაპარაკია ფასებისა და ხელფასების შესაბამისობაში მოყვანასა და მათთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ყოველივე ეს და სხვა მრავალი ჩანაფიქრი, რაც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის, ფინანსების გაჯანსაღებას და სტაბილურობის შემდგომ განმტკიცებას, ლაპარაკად დარჩება, თუ არ ავლაგმეთ რეკეტი და მაფიოზები.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის

განცხადება

საქართველოს მოქალაქენო!

ჩემი — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თქვენს წინაშე განცხადების გაკეთება შემთხვევითი არ არის.

ვიცი, თითოეული თქვენგანი შეშფოთებულია ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდით, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ბევრმა თქვენგანმა საკუთარ თავზე იწვნია ქურდების, ყაჩაღების, რეკეტიორების, მაფიოზური კლანების პარპაშის სიმწარე. ისიც ბუნებრივი და სავსებით გასაგებია, რომ პოლიციისაგან მოითხოვთ მთელი ამ უბედურებისაგან მოქალაქეთა და საერთოდ ჩვენი საზოგადოების დაცვას. გრძნობენ რა თავიანთ პროფესიულ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას საზოგადოების, ქვეყნისა და კანონის წინაშე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მისმა ძირეულმა რგოლებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ქვეყანაში უაღრესად გართულებული კრიმინოგენური ვითარების გამოსასწორებლად.

მოგეხსენებათ, სულ რაღაც ოთხი-ხუთი თვის წინათ საქართველოს ბევრი რეგიონი, სოფელი და ქალაქი, მათ შორის თბილისიც, ფაქტობრივად ჩაკვდარი იყო, დღე და ღამე ისმოდა ავტომატების კაკანი, ხალხს ეშინოდა ქუჩაში გამოსვლა, შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ საქართველოს საავტომობილო მაგისტრალებზე, ძარცვავდნენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მოქალაქეებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ოპერაციების, სხვა ოპერატიული ღონისძიებების შედეგად კრიმინოგენური ვითარება რესპუბლიკაში საგრძნობლად გამოსწორდა, რეგიონებს, ქალაქებს და სოფლებს დაუბრუნდა სიცოცხლე, აღდგა საავტომობილო მაგისტრალების ფუნქციონირება.

ყველაფერი ეს გაკეთდა დიდი სიძნელეების გადალახვისა და მსხვერპლის ფასად. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად 5 ათასი პოლიციელი თვეების მანძილზე საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა დასავლეთ საქართველოში, მიმდინარეობდა პოლიციის რიგების წმენდა უღირსი თანამშრომლებისაგან, იხვეწებოდა სტრუქტურა, გამოცდილი, კვალიფიციური და პატიოსანი კადრებით ყალიბდებოდა სამსახურები როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ძირეულ რგოლებში. ხდებოდა პოლიციის აღჭურვა იარაღით, ტექნიკითა და ხელსაწყობილობით. ყოველივე ამას გარკვეული შედეგები მოჰყვა. კრიმინალურმა სამყარომ მძლავრი დარტყმა განიცადა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, სასურველ შედეგამდე ჯერ შორს ვართ.

კრიმინოგენური ვითარება რესპუბლიკაში კვლავ მძიმეა. კორუფცია, ტერორისტული აქტები, ბანდიტიზმი, ორგანიზებული დანაშაულის სხვა გამოვლინებანი, ნარკომანია და ნარკობიზნესი, მაფიოზური კლანები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ჩანასახშივე ისპობა ეკონომიკის აღდგენის, ჯანსაღი ბიზნესის განვითარების ყოველგვარი ცდები, არ არის აღმოფხვრილი დაუსჯელობის სინდრომი.

შექმნილი ვითარება ახალ ამოცანებს უსახავს შინაგან საქმეთა ორგანოებს. გვინდა საჯაროდ განვაცხადოთ — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები იწყებენ დამნაშავეობასთან ბრძოლის მეორე ეტაპს, რომლის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის, რეკეტის, მაფიოზური კლანების წინააღმდეგ შეურიგებელი და გადამწყვეტი ბრძოლა.

ვიწყებთ რა ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამ ბრძოლაში წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ მხარში ამოგვიდგება მთელი საზოგადოება, თუ ქვეყანაში შეიქმნება ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის, რეკეტის, ფინანსური მაქინაციებისადმი შეურიგებლობის პოლიტიკური ატმოსფერო და გამოკვეთილი საზოგადოებრივი აზრი.

თანადგომის დიდი იმედი ჩაგვისახა 19 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულმა პრესკონფერენციამ, რომელზეც ჟურნალისტებთან ერთად მოწვეული იყვნენ იმ დაინტერესებულ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, რომლებსაც სურდათ გამოეხატათ თავიანთი პოზიცია დამნაშავეობასთან ბრძოლისა და ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობის დამკვიდრების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ პრესკონფერენციაზე მოსულ პარტიათა წარმომადგენლები ბევრ საკითხში არ ეთანხმებიან ერთმანეთს და ხშირ შემთხვევაში მკვეთრად საწინააღმდეგო პოზიციას ადგანან, ყველამ ერთბაშად დაუჭირა მხარი იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ამჟამად ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დამნაშავეობასთან ბრძოლის მეორე ეტაპის დაწყებას, გამოთქვეს სრული მზადყოფნა პოლიტიკური მეთოდებით, საზოგადოებრივი აზრის მობილიზებით მხარში ამოუდგნენ პოლიციას ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის, მაფიოზური კლანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასეთივე აზრი გამოთქვეს პრესკონფერენციაზე მოწვეულმა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე მეცნიერების წარმომადგენელთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ წამოწყებული ეს აქცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გზაზე და მას საყოველთაო მხარდაჭერა სჭირდება.

მინდა აქვე განვაცხადო, რომ ამ ბრძოლაში საზოგადოებრივ მხარდაჭერასთან ერთად ვგრძნობ რესპუბლიკის პროკურატურის, თავდაცვის სამინისტროს და უშიშროების სამსახურების თანადგომასა და მხარდაჭერას. მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს შალისმიერი სტრუქტურების ერთიან, კოორდინირებულ მოქმედებას.

საქართველოს პოლიციის თითოეულ თანამშრომელს კარგად აქვს შეგნებული დამნაშავეობასთან ბრძოლის მეორე ეტაპის სირთულე და მნიშვნელობა. უკვე მობილიზებულია სათანადო ძალები, მიმდინარეობს საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, ყველა სამსახურს, ყველა რგოლს მიცემული აქვს სათანადო დავალება.

ამასთან, მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები ყველა ღონისძიებას კანონის შესაბამისად განახორციელებენ. მკაცრად დაისჯება მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმპციის, მისი უფლებებისა და ღირსების შელახვის ყოველი შემთხვევა.

ამასთან, მკაცრად უნდა გავაფრთხილოთ ყველა, ვინც შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს პოლიციას, რომ მათ მიმართ განხორციელდება უმკაცრესი ღონისძიებანი, ადგილზე ლიკვიდაციაც კი.

მინდა ერთხელ კიდევ დავარწმუნო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, 50-ათასიანი პირადი შემადგენლობა ძალღონეს, ენერგიას, სიცოცხლესაც კი არ დაიშურებენ ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის, მაფიოზური კლანებისაგან ჩვენი საზოგადოების გადასარჩენად, ჩვენს ქვეყანაში მართლწესრიგის აღსადგენად.

შოთა კვირაია,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი,
გენერალ-ლეიტენანტი.

მერვე სვეტი

საქინფორმი იტყობინება

განცხადება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დროებით ქალაქ თბილისსა და მის მიმდებარე რაიონებში მცხოვრებ არაქართული ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ძალადურად განდევნეს აფხაზეთიდან ან იძულებით მიატოვეს იგი, იწვევს შეხვედრაზე. შეხვედრა გაიმართება 1994 წლის 24 აგვისტოს 12 საათზე მისამართით:

თბილისი, ინგოროყვას ქ. 8 (საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გვერდით).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

აღკვეთილია აფხაზეთში ლტოლვილთა სტიქიური დაბრუნების ცდა

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა საქინფორმს აცნობა, რომ სოფელ რუხში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს აფხაზეთში ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მშვიდობიანი და უსაფრთხო დაბრუნების პროცესის დაჩქარება. თავის მხრივ ლტოლვილებმა სცადეს სტიქიურად შესულიყვნენ გალის რაიონში, მაგრამ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ თავიდან იქნა აცილებული შესაძლო გართულებანი.

რუხში მეათე დღეა გრძელდება ლტოლვილთა მშვიდობიანი მჯდომარე აქცია. აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ განახორციელებს მშობლიურ ადგილებში ლტოლვილთა რაც შეიძლება მალე დაბრუნების პრაქტიკულ ღონისძიებებს, აქციის მონაწილენი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ.

ბაშკირი ექიმები აფხაზეთში

აფხაზური ტელევიზია იუწყებოდა, რომ გასულ კვირას სოხუმში ჩავიდა ბაშკირ ექიმთა ჯგუფი, რომლებმაც დახმარება უნდა გაუწიონ აფხაზ კოლეგებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ბაშკირეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

აფხაზურმა ტელევიზიამ ტელემაყურებლებს შეახსენა, რომ 1992-1993 წლების ომის დროს ბაშკირი ექიმები აფხაზებს ეხმარებოდნენ ავადმყოფთა და დაჭრილთა მკურნალობაში.

რატომ გადადგა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე?

ამ დღეებში აფხაზური ტელევიზიით აჩვენებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლეონიდ ლაკერბაიას გამოსვლა, რომელიც შეეხო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ვიტალი სმირის მოულოდნელ გადადგომასთან დაკავშირებულ კონფლიქტს.

ლეონიდ ლაკერბაიამ განაცხადა, რომ სოხუმში 14 აგვისტოს გამართული მიტინგის მონაწილეებმა „სავსებით უსაფუძვლოდ შეურაცხყოფა მიაყენეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვიტალი სმირს“. გადაცემაში კონკრეტულად არაფერი იყო ნათქვამი, რა ხასიათი ჰქონდა შეურაცხყოფას — სიტყვიერი თუ ფიზიკური. სამაგიეროდ აღინიშნა, რომ მიტინგის დამთავრებისთანავე ვიტალი სმირმა დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ.

19 აგვისტოს გადაცემულ ტელეინტერვიუში ლეონიდ ლაკერბაიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ვიტალი სმირი იმავე პოსტზე დააბრუნონ შინაგან საქმეთა სამინისტროში. საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, როცა აფხაზეთა წრეებში მომხდარი ამგვარი ამბები და კონფლიქტები საჯარო ხდება.

ოფიციალური ინფორმაცია

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტების ათვისების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი კრედიტების ეფექტიანი ათვისების მიზნით:

— მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრედიტებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინი-ტრაქტორებისა და შესაბამისი ინვენტარის შეძენის შესახებ;

— დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრედიტით შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობაში დროული და ეფექტიანი რეალიზაციის მექანიზმი და აღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი შეუთანხმოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

ე. შევარდნაძე.

ვ. გოგუაძემ მიიღო თურქეთის დიდი მეჯლისის დელეგაცია

22 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო თურქეთის დიდი მეჯლისის დეპუტატები ბატონები ნევზათ ერჯანი, ეჩკუტ შენბაში, მუსტაფა ქილოჩასლანი და ნასბი ქიაქლი.

თურქმა დეპუტატებმა მასპინძლებს გააცნეს დიდი მეჯლისის მუშაობის გამოცდილება, აღნიშნეს, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიესალმება მეზობელი ქვეყნის ერთიანობას, გაძლიერებას და ეკონომიკურ აღორძინებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ გამყრელიძე, სხვა ოფიციალური პირები.

პარლამენტის პრესცენტრი — საქინფორმი.

ევრობანკის ექსპერტები თბილისში

თბილისში იმყოფებიან ევრობანკის მისიის ექსპერტები ენერგეტიკის საკითხებში. მათ შეისწავლეს რესპუბლიკის ენერგოსისტემაში არსებული ვითარება და მოიწონეს ჩვენი სპეციალისტების მიერ შეთავაზებული საქართველოს ენერგოსისტემის სრულყოფის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა. ევრობანკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სექტემბერში ევრობანკი განიხილავს საქართველოს აღორძინებისათვის გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფის საკითხს, რაც ძირითადად თბილსრესის, ენგურჰესისა და რიონჰესის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და რესპუბლიკის ენერგოძელის მართვის სისტემის სრულყოფას მოხმარდება. ამ მიზნით მისაღები კრედიტი 37 მლნ. ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ევრობანკის ექსპერტთა ჯგუფი თბილისში 24 აგვისტომდე დაჰყოფს.

დეპარტამენტ „საქენერგოს" პრეს-სამდივნო — საქინფორმი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ჯ. გვაჯაიას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ჯემალ გვაჯაია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 22 აგვისტო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

გ. კვესიტაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს გიორგი კვესიტაძე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან და დაინიშნოს იგი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩევლად.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1994 წლის 19 აგვისტო.

მხარს უჭერენ მაფიურ-კრიმინალური კლანების წინააღმდეგ ბრძოლას

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის [illegible] განცხადებას მაფიურ-კრიმინალური კლანების [illegible] ბრძოლის დაწყების თაობაზე. სამწუხაროდ, [illegible] მაფიურ-კრიმინალური კლანები შეერწყა არა მარტო [illegible] პარტიებსაც. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, დაიწყონ შემოწმება ჩვენი პარტიით.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უშიშროების სამსახურთან, თავდაცვის სამინისტროსა და პროკურატურასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით შესძლებს დასახული რთული ამოცანის გადაწყვეტას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო-საქინფორმი.

ვაზგენ პირველის დაკრძალვა მოხდება 28 აგვისტოს, ეჩმიაძინში

ერევანი. (არმენ-პრეს-საქინფორმი). ყოველთა სომეხთა პატრიარქისა და კათოლიკოსის ვაზგენ პირველის დაკრძალვა მოხდება 28 აგვისტოს საეკლესიო სატახტო ქალაქ ეჩმიაძინში. სომხური ეკლესიის მეთაურს, რომელიც 18 აგვისტოს გარდაიცვალა, მიწას მიაბარებენ ეჩმიაძინის საკათედრო ტაძრის ეზოში, სადაც განისვენებენ მისი წინამორბედები.

22 აგვისტოს აქ გამოაქვეყნეს სამედიცინო დასკვნა ვაზგენ პირველის ავადმყოფობისა და გარდაცვალების მიზეზის შესახებ. 1978 წლიდან მას აწუხებდა ქრონიკული ლიმფოლეიკოზი. წლეულს მას განუვითარდა ლიმფოსარკომა. იმავდროულად კათოლიკოსს სჭირდა ვენების ქრონიკული ტრომბოფლებიტი, აორტისა და გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვების ათეროსკლეროზი და პარენქიმატოზური ორგანოების დისტროფია. მკურნალობის ყველა თანამედროვე მეთოდის გამოყენების მიუხედავად, უკანასკნელი თვეების მანძილზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. სიკვდილის მიზეზი გახდა დადგენილი დიაგნოზი, ნათქვამია სამედიცინო დასკვნაში.

დაკრძალვაში მონაწილეობას მიიღებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

[illegible] ქვეყანა

ჩეჩნეთში ვითარება კვლავ დაძაბულია

მოსკოვი, 22 აგვისტო, (იტარ-ტას-საქინფორმი). რუსლან ხასბულატოვმა ჩეჩნეთის ოპოზიციურ ძალებს გროზნოში შესთავაზა 25 აგვისტოს გამართონ მასობრივი მიტინგი. შაბათს, ქალაქ შალის რაიონში მოწყობილ მიტინგზე, მან ყველა შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ფორმირებას მოუწოდა დადონ შეთანხმება სამშვიდობო ჯგუფთან იარაღის გამოუყენებლობის შესახებ. ასეთი სამშვიდობო ჯგუფის მთავარი მიზანი, როგორც მან თქვა, არის მშვიდობიანი გზით ხელისუფლების გადაცემის უზრუნველყოფა.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ექსსპიკერმა განაცხადა, რომ კატეგორიულად არ ეთანხმება დუდაევის რეჟიმის დამხობაში რუსეთის ჯარების გამოყენების ვარიანტს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ პრეტენზიას არ აცხადებს არავითარ პოლიტიკურ პოსტზე ხელისუფლების მომავალ ორგანოებში, მაგრამ მზად არის შესთავაზოს სახელმწიფო მოღვაწის თავისი გამოცდილება. რუსლან ხასბულატოვი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ჩეჩნეთში შეიქმნას ფონდი, რომელიც გააანალიზებს სიტუაციას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისათვის.

შეეხო რა ჩეჩნეთ-რუსეთის მომავალი ურთიერთობის თავისებურ ხედვას, რუსლან ხასბულატოვმა აღნიშნა: „მე ერთიანი და განუყოფელი რუსეთის მომხრე ვარ, მაგრამ იმის წინააღმდეგ ვილაშქრებ, რომ ჩეჩნეთში კრემლის ადამიანები პარპაშებდნენ".

პირველად ხასბულატოვის მომხრეთა მიერ მოწყობილ მიტინგში მონაწილეობდა რუსლან ლაბაზანოვი, ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერი, რომელმაც სისხლიანი შურისგება გამოუცხადა ჯოხარ დუდაევს. მიტინგზე გამოსვლისას მან თქვა: ხასბულატოვის სამშვიდობო მისიას მივესალმებით და მას ბოლომდე მივყვებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგმა, რომელშიც დაახლოებით 15 ათასი კაცი მონაწილეობდა, ჩაიარა შალის სატანკო პოლკის უშუალო სიახლოვეს, რომელიც, როგორც ოფიციალური გროზნო ამტკიცებს, თითქოს დუდაევის კონტროლს ექვემდებარებოდეს. მიტინგის მონაწილეთა უშიშროებას უზრუნველყოფდნენ რუსლან ლაბაზანოვის ადამიანები.

იმავე დროს სიტუაცია ნადტერეჩნსკის რაიონში, რომელსაც ჩეჩნეთის დროებითი საბჭო აკონტროლებს, მთლიანად მშვიდია. გრძელდება მოლაშქრეთა დაკომპლექტება. ყოველდღე მას 30-40 კაცი ემატება. მოლაშქრეთა ერთ-ერთ ბანაკში, სადაც იტარ-საკდეისის კორესპონდენტი იყო, დაახლოებით 250 მებრძოლია. ძირითადად ისინი არიან არმიაში ნამსახური ადამიანები, მაგრამ ახალწვეულებიც არ აკლიათ. ამჟამად ისინი საცეცხლე მომზადებას გადიან, სწავლობენ ასაფეთქებელ საქმეს. იმის მიუხედავად, რომ მებრძოლთა ნაწილს გადაუხადეს 50-100 ათას რუბლამდე, მოლაშქრეთა უმრავლესობა ამბობს, რომ ისინი აქ ფულისათვის კი არა, ჯოხარ დუდაევის რეჟიმის დამხობის უზრუნველყოფისა და რესპუბლიკაში სამართლიანობის აღდგენისათვის იმყოფებიან.

დროებითი საბჭოს პრესცენტრის მონაცემებით, დღეს გროზნოს მახლობლად ჩერნორეჩენსკის დასახლებული პუნქტის რაიონში დაყენებულია ჯავშანტექნიკითა და საზენიტო დანადგარით გაძლიერებული შეიარაღებული ძალების საგუშაგო, სადაც ჯოხარ დუდაევის მომხრენი იმყოფებიან. დროებითი საბჭოს უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით, ოფიციალური გროზნო შიშობს, რომ სწორედ ამ მიმართულებით შეეცდებიან ოპოზიციის ძალები შეიჭრნენ ქალაქში და ხელთ იგდონ ძალაუფლება. დროებითი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა რუსლან მარტაგოვმა აგრეთვე განაცხადა, რომ ჩეჩნეთის დედაქალაქის ყოფილი მერის, დროებითი საბჭოს წევრის ბესლან განტემიროვის მომხრეები კონტროლს უწევენ გროზნოდან 30 კილომეტრზე მდებარე ურუსმარტანის დასახლებულ პუნქტს. დასახლებული პუნქტის შესასვლელ-გასასვლელებში დგანან შეიარაღებული პირები. რუსლან მარტაგოვმა აგრეთვე თქვა, რომ კვირას ზნამენსკოეში გაიმართა დროებითი საბჭოს ხელმძღვანელის უმარ ავტურხანოვისა და რუსლან ხასბულატოვის სამშვიდობო ჯგუფის წარმომადგენელთა შეხვედრა.

გროზნოს ცენტრში თავისუფლების მოედანზე კვირას გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. როგორც ჩეჩენპრესის სააგენტო იუწყება, იქ შეკრებილმა ჩეჩნეთის პრაქტიკულად ყველა რეგიონის წარმომადგენლებმა დაგმეს იმათი მოქმედება, ვინც „ცდილობს გათიშოს ჩეჩენი ხალხი ორ მტრულ ბანაკად". სახალხო მოლაშქრეებში აქ დაწყებული ჩაწერის დროს რამდენიმე საათის მანძილზე შექმნეს ორი ასეული 140-140 კაცის შემადგენლობით.

„კარადენიზ ტური":

თანამშრომლობის სურვილი კვლავ არის

ამ ცნობილი თურქული ტურისტული სატრანსპორტო ფირმის ავტობუსები ბევრს იზიდავს კომფორტულობით, საიმედოობით. უკვე მრავალი წელიწადია [illegible] სატრანსპორტო მიმოსვლაა ჩვენს ორ ქვეყანას შორის. „კარადენიზ ტური" თანამშრომლობს საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტთან.

— თბილისიდან, — თქვა ფირმის გენერალურმა დირექტორმა ნაზია დილბერმა, — „მერსედესის" მარკის ავტობუსები მიდიან ტრაპიზონში, სამსუნში, სტამბოლში, ცოტა ხნის შემდეგ კი თბილისელები შეძლებენ იმოგზაურონ ბულგარეთსა და რუმინეთშიც. დედაქალაქის ცენტრალური ავტოვაგზლიდან მსურველებს ჩაიყვანენ ვარნაში, სოფიაში, ბუქარესტში, კონსტანცაში.

პარტნიორობის განვითარება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდასაც. მაგალითად, მარტო შარშან „კარადენიზ ტურმა" რესპუბლიკის ბიუჯეტში გადარიცხა 35 ათასი ამერიკული დოლარი. ავტოტრანსპორტის რესპუბლიკური დეპარტამენტის წარმომადგენელთა აზრით, ეს ანარიცხები ყოველწლიურად შეიძლება 80-100 ათასი დოლარიც ყოფილიყო, რომ არა დაბრკოლებები, რომლებსაც „კარადენიზ ტურს" უქმნიან სხვა, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არაკანონიერად მოქმედი თურქული სატრანსპორტო ფირმები და მათი აქაური მფარველები. საქმე ის არის, რომ რაკი არ სურთ ოფიციალური შეთანხმება დადონ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისინი ამჯობინებენ რისკით, ერთგვარ [illegible] არაფერი არ ხვდება ივეთი სახელმწიფოს ბიუჯეტში. ამას ემატება ორმაგი გადასახადით დაბეგვრა, შანტაჟი, ზოგჯერ კი სხვადასხვა სამსახურების მუშაკთა აშკარა გამომძალველობაც. გამოდის, რომ მეტი ზარალი მოსდის იმას, ვისაც სურს დაიცვას კანონი, პატიოსნად იმუშაოს.

არადა, რესპუბლიკის მთავრობამ, დაინტერესებულმა უწყებებმა მიიღეს რამდენიმე დადგენილება, რომლებიც ითვალისწინებენ ასეთი „მარცხენა" ფირმებისა და ავტობუსების საქმიანობის აკრძალვას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განკარგულებანი ჯერჯერობით რეალურად არ სრულდება. თუმცა, ყველა დაბრკოლების მიუხედავად, „კარადენიზ ტურს" კვლავ აქვს თანამშრომლობის სურვილი. თუ სათანადო სახელმწიფო წესრიგი დამყარდება ამ სფეროში, „კარადენიზ ტური" მზად არის მოაგვაროს საქართველოს საავტობუსო მიმოსვლა ახლო და შორეული საზღვარგარეთის რიგ სხვა ქვეყნებთანაც, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

ეს კი რესპუბლიკის ბიუჯეტში ახალი, უფრო სოლიდური შემოსავლის შემატების საფუძველი იქნება.

ორნი ამერიკაში

ანუ ჩვენი ქვეყნის იურისტთა თვალით დანახული კანონიერება

მალე მთელი საქართველო გაიგებს [illegible] **თავის დატეხილი** [illegible] **ნამდვილ მიზეზებს, იმ ორგანიზატორთა სახელებს, რომლებიც ყველაზე კისრულობდნენ, ოღონდ თანამდებობები შეენარჩუნებინათ, დაებრუნებინათ, მიეღოთ, მითხრა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა და პროფესიონალი გამომძიებლის ხიტყვაძუნწობით დაამატა: — ბევრ საიდუმლოს ეხდება ფარდა...**

სათქმელმა აიძულა და თქვა, თორემ ბატონ ანზორთან ჩემი სტუმრობის მიზეზი ამჯერად სხვა იყო. იგი ახლახან დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელ კოლეგებთან ერთად ამ ქვეყნის საინფორმაციო სააგენტომ მიიწვია. მასთან ერთად იყო საკონსტიტუციო სამართლის პრობლემებზე მომუშავე ახალგაზრდა იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი დავით უსუფაშვილი.

დაზუსტებისთვის:

ამ ერთთვიანი მიწვევის ხარჯები მიმწვევებმა იკისრეს.

გამგზავრების მიზანი:

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის სისტემისა და სამართალგამოყენებითი საქმიანობის გაცნობა.

ერთი სიტყვით, პროგრამა ყველა იმ სფეროს გაცნობას ითვალისწინებდა, რაც კი საინტერესოა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოებისა და კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

— **ვაშინგტონში** ვეცნობოდით და ვსწავლობდით ფედერალური სამართალდამცავი სისტემის სტრუქტურებსა და კანონშემოქმედებას. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციის საკითხებსაც. ვიყავით ჯორჯიის შტატში, სადაც, ძირითადად, თავმოყრილია ფედერალური სტრუქტურების მიერ მსჯავრდებულთა სასჯელის აღსრულების დაწესებულებები (ჩვენ რომ შრომა-გასწორების კოლონიებს ვეძახით).

აქ გავეცანით საკანონმდებლო ბაზასა და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ საპროკურორო საქმიანობას, ამერიკის ჩრდილოეთის — მინესოტის შტატის დედაქალაქ მინეაპოლისში — შტატის სამართლებრივ სტატუსს, მის სამართლებრივ სისტემებს, მათ როლსა და ადგილს მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამართლებრივ სისტემაში.

შტრიხები დაკვირვებიდან:

— თავიანთი კონსტიტუციით, სამართლებრივი ინსტიტუტებითა და ყველა ატრიბუტიკით (რაც კი აქვს ერთ დიდ სახელმწიფოში შემავალ ცალკე აღებულ 50 ქვეყანას), თითოეული შტატი ნამდვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

შეხსენებისთვის:

ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 შტატია.

— მე, როგორც პროკურატურის მუშაკს, ძირითადად, მართლმსაჯულების განხორციელებისას პროკურატურის როლი, მისი ადგილი და ფუნქცია მაინტერესებდა. აქვე ვეცნობოდით გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ადგილობრივი პოლიციის საქმიანობას, რა თქმა უნდა, ამ ორგანოების პროკურატურასთან ურთიერთობასაც.

შემდეგ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთით, კალიფორნიის შტატში, გადავინაცვლეთ. მის დედაქალაქ სან-დიეგოში საბაჟო და საპატრულო სისტემა ვნახეთ. შევისწავლეთ პროკურორის ფუნქცია მათი მუშაობის სისტემაში.

აქედან ნიუ-იორკში დავბრუნდით, სადაც...

ბატონი ანზორი სიტყვას წყვეტს.

— ვფიქრობდი, გამეხსენებინა თუ არა ფაქტი, რომელსაც თავიანთ ხალხისათვის ამერიკული შთაბეჭდილებების გაზიარებისას (ეს კი უსათუოდ იქნება) გაიხსენებენ ჩემი კოლეგები, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, — თქვა და რამდენიმე წუთით, პროფესიულ თემას გადაუხვევო, მოიბოდიშა.

ფრაგმენტები შთაბეჭდილებებიდან:

— კომფორტული მიკროავტობუსი გვემსახურებოდა. სან-დიეგოში ტვირთის გადასაზიდი საბაჟოს სანახავად მივდიოდით, სადაც ფედერალური გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებსაც უნდა შევხვედროდით. საბაჟოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე მსუბუქი ავტომანქანით მოგვყვებოდნენ, როცა შეიტყვეს, საქართველოდან ვიყავით, აღფრთოვანება ვერ დაფარეს, მერე საჯაროდ მოითხოვეს ავტობუსიდან მათ მანქანაში გადავმჯდარიყავით. რა თქმა უნდა, კოლეგების მიტოვება გვეუხერხულებოდა, მაგრამ უარი არ გაგვივიდა...

ჯერ, უდიდესი პატივისცემით, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური მოიკითხეს, მერე სეტყვასავით დაგვაყარეს კითხვები: რა ხდება თქვენს ქვეყანაში? რატომ გვესმის ამდენი ცუდი ამბავი იქიდან? თქვენ ხომ ის ადამიანი გჰყავთ სათავეში, რომლის პოლიტიკურ აზროვნებასაც საზღვარგარეთ დიდად აფასებენო...

და არა მარტო იქ. ივივე მეორდებოდა სხვა შტატებშიც. ამერიკელ ხალხს ვერ გაუგ რატომ არის დესტაბილიზაცია ჩვენში, უკვირთ, რატომ ყველა ერთად არ ვუდგავართ ედუარდ შევარდნაძეს მხარში, ან ზოგიერთი რატომ სდებს მას უსამართლო, აბსოლუტურად დაუსაბუთებელ ბრალს...

ცუდ დღეში ვვარდებოდით მე და დათო, რადგან უფრო მეტად თავის მართლება გვიწევდა.

რომელ შტატშიც უნდა ვყოფილიყავით, განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ საქართველოთი. იყო ასეც: როცა წარგვადგენდნენ და იტყოდნენ „ჯორჯია": რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ამერიკის ჯორჯიის შტატიდან ვიყავით. იქ, ამერიკაში ყოფილი საბჭოთა კავშირის პატარა ქვეყნებზე მეტად მწირი წარმოდგენა აქვთ, მით უფრო, რიგით ამერიკელებს. თარჯიმნებს ერთი გამოსავალი ჰქონდათ: იტყოდნენ „შევი" (ასე ეძახიან ამერიკაში ედუარდ შევარდნაძეს) და უკვე ხვდებოდნენ საიდანაც ვიყავით.

— ნიუ-იორკში, ძირითადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კანონმდებლობას ვსწავლობდით, გავეცანით ეგრეთწოდებულ „ღამის სასამართლოების" საქმიანობასაც.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამერიკაში ყოფილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის ასეთი ინსტიტუტი, რომელიც, თურმე იმ დღეს, იმ საათებში ჩადენილ სისხლის სამართლის მსუბუქ დანაშაულობებზე (ადმინისტრაციული დარღვევა, სიტყვიერი შეურაცხყოფა და ა. შ.) მსჯელობს, როგორც ბატონმა ანზორმა მითხრა, ღამის სასამართლოები მუშაობას საღამოს ექვს საათზე იწყებენ და დილის რვაზე ამთავრებენ.

— ამერიკაში კანონის დიქტატურა და სასამართლო ხელისუფლებაა. ეს უკანასკნელი ხელშეუხებელი, მტკიცე და კანონის მოთხოვნათა განმახორციელებელია, სასამართლო, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოსახლეობის ნების გამომხატველია, იგი იცავს სახელმწიფოს, მის კანონებს და თითოეულ მოქალაქეს ყოველგვარი ხელყოფისაგან (თუგინდ სახელმწიფოდან მოდიოდეს). **იქ, სამართლის სულ სხვაგვარი სისტემაა, ჩვენი და იმათი კანონიერება ცა და დედამიწასავით განსხვავდება.**

— ამერიკელ კოლეგებთან „მძიმე" საქმეების ირგვლივ თუ გქონდათ კონსულტაციები. როგორ უყურებენ ისინი ჩვენს სასამართლო პრაქტიკას?

— ყოველ თავისუფალ წუთს კონსულტაციებს ვახმარდი. ჩვენი პრაქტიკა კი მათში მწვავე დისკუსიის საგანი ხდებოდა. ავიღოთ, თუნდაც, ჩიქოვანის ქუჩაზე აფეთქების მონაწილეთა გაჭიანურებული სასამართლო პროცესი, თითქმის ათი თვის წინათ დაიწყო იგი და იმათ გასამართლებას, ვისაც ბრალად ედება ტერორიზმი, დივერსია და ბანდიტიზმი, დასასრული არ უჩანს.

თითქმის ყველა მოსამართლესა და პროკურორთან ვისაუბრე სასამართლო პროცესის ხილოვნურად გაჭიანურების პრობლემებზე. [illegible] საქმის ისეთი ხელოვნურად გაჭიანურება, როგორც ჩვენთან ხდება, მათთვის წარმოუდგენელია. მით უფრო, თუ ყოველივე ადვოკატების გაუთავებელი შუამდგომლობების შედეგია.

კალიფორნიის შტატის უზენაესი სასამართლოს წევრმა თქვა, ადვოკატი, ჩვენთან ამას ვერ გაბედავს, რადგან მისი ადვოკატობის თითოეული წუთი სოლიდური თანხა უჯდება განსასჯელსო.

— პატიმართა უხეში, უცენზურო გამოხდომებიც რომ სასამართლო პროცესების ჩაშლის ერთგვარი ხერხი გახდა ჩვენში?

— ვერც ასეთი რამ წარმოუდგენიათ (პრაქტიკაში რომ იყოს, თორემ ერთეული შემთხვევები იქაც გამოერევა ხოლმე) და თუ მაინც მოხდა, მოსამართლე იმავე წუთში წყვეტს პროცესს, მკაცრად აფრთხილებს განსასჯელის ადვოკატს და საჯაროდ აცხადებს: განსასჯელის ქმედება განაჩენში აისახებაო.

ამანაც თუ არ გასჭრა-მეთქი (მე ჩვენი პრაქტიკა მაწუხებდა და არ ვეშვებოდი ამერიკელ კოლეგებს)? მაშინ მოსამართლე განსასჯელს ორჯერ გაფრთხილებას აძლევს და მესამედ უკვე საკანში მიაბრძანებს, სადაც ტელევიზიის საშუალებით შეუძლია თვალ-ყური ადევნოს პროცესს.

[illegible] თავმჯდომარის მოადგილე და სხვა შტატებშიც კოლეგებმა, ადვოკატებმა, მოსამართლეებმა ისიც მითხრეს: მოსამართლეს პატიმრის დასაშოშმინებლად ყველანაირი მოქმედების უფლება აქვს, თუმც არ იყენებენ, რადგან საქმე იქამდე არ მიდისო. მერე ისიც მომიყვნენ: სასამართლო პროცესის ბოლომდე, როგორ ასმენინა მოსამართლემ, ერთ-ერთ შტატში, ხელ-ფეხ შეკრულ და პირ აკრულ სექსუალურ მოძალადეს მის მიერ ჩადენილი სისაძაგლეები. გაძლიერებითაც აშკარად გამიზნული, განსასჯელის უცენზურო, უხეში გამოხდომები ამგვარად აღკვეთა მოსამართლემ. მართალია, მისმა გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ მოსამართლის კომპეტენციაში არავინ ჩარეულაო.

შევიხედოთ ჩვენს პროცესებზე: განსასჯელებს რაც პირზე მოადგებათ, ყველაფერი შეუძლიათ უწოდონ მოსამართლეს, გაიწიონ კიდეც მასზე (ამის ფაქტებიც ყოფილა). მოსამართლეს კი სამაგიერო სიტყვის თქმის უფლებაც არა აქვს. აბა გაბედოს. აქაოდა მავანმა მოსამართლემ პატიმრის უფლება შელახაო, მთელ მსოფლიოს მოსდებენ საჩივრებს...

— ბატონო ანზორ! ჩიქოვანის ქუჩაზე, აფეთქების მომწყობთა პროცესი ახსენეთ და მინდა გკითხოთ: ადამიანთა გარკვეული წრე ცდილობს განსასჯელები „სინდისის პატიმრებად" წარმოაჩინონ. რა ჰქვიათ მსგავსის ჩამდენთ ამერიკაში?

— ბევრი ქვეყნის კონსტიტუციაში პირდაპირ წერია: ძალადობასთან დაკავშირებული ქმედება პოლიტიკურ დანაშაულად არ ითვლება. ამერიკაში კი პოლიტპატიმრის ცნება ისე არ ესმით, როგორც აქ ჰგონია ზოგიერთს. იქ რაიმე ქმედებისას ერთი ტყვიაც რომ გავარდეს და არავინ მოკვდეს, პოლიტდამნაშავეობაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია. თუ ვინმეს ავტომატური იარაღი ან ბომბი აღმოუჩინეს დაჭერისას, რომც არაფერი ჩაედინოს, მაინც უმძიმეს დანაშაულად ითვლება და სიტყვა „პოლიტიკურთან" არაფერი აქვს საერთო. და თუ ადამიანი, რაღაც თავისი პოლიტიკური მოსაზრებების გამო, პოლიტიკური მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურებისათვის იარაღს იყენებს და შედეგად მოჰყვება უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი, იმავე წუთში დამნაშავე ცხადდება ტერორისტად, ის ორგანიზაცია კი, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, ტერორისტულ ორგანიზაციად.

პოლიტპატიმრები წინათ, ტოტალიტარული რეჟიმის დროს იყვნენ. ისინი საკუთარი აზრის გამოთქმისთვის ისჯებოდნენ, დღეს ამისთვის რომ კაცი დაიჭირო, მთელი დუნია ციხეში აღმოჩნდებოდა... დღეს საქართველოს პოლიტპატიმარი არა ჰყავს.

— თქვენ ადრე, ერთ-ერთ ინტერვიუში წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობაზე ისაუბრეთ. მაშინ მომხრეებიც გამოგიჩნდნენ და მოდავენიც. ამერიკელთა გამოცდილების შესწავლის შემდეგ მოსაზრება ხომ არ შეგცვლიათ?

— წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობა რომ სავალდებულოა, ამას არავინ უარყოფს და ჩვენშიც დამკვიდრდა, მაგრამ მუდამ საქმის მასალების გაცნობის თაობაზე ვდაობდი ხოლმე.

როცა სხვადასხვა შტატში ჩემს კოლეგებს ვუთხარი, ჩვენთან არის იმის ცდა, რომ ადვოკატი გამოძიების დამთავრებამდე ეცნობოდეს ყველა მასალას-მეთქი, ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. განსასჯელის ადვოკატმა სასამართლომდე რომ გაიგოს თუ რას ამბობს ესა თუ ის მოწმე, დაუშვებელიაო. რა გარანტია გაქვთ, რომ ამით მოწმესა და მისი ოჯახის წევრებს საფრთხეს არ შეუქმნით? ადვოკატს შეუძლია გამოძიების დღიდანვე ჩაებას საქმეში, თავადაც აწარმოოს გამოძიება, მაგრამ გამომძიებლების მოპოვებულ ზოგიერთ მასალას, სასამართლომდე არ უნდა იცნობდეს, სასამართლოზე მოსულ მოწმეს კი ვერავინ შეეხებაო, კატეგორიულად აცხადებდნენ ისინი.

ასე რომ, მე კვლავ ჩემს აზრზე ვდგავარ, მით უფრო დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმი არ არსებობს.

[illegible]
ყველა სამართლებრივ და დემო-
კრატიულ ქვეყანაში.
ბარაკია იმაზე, რა სახით
ნარჩუნებული პროკურატურა
ჩება მას კანონიერებისადმი
დამხედველობის ორგანოს
ქცია თუ შევა სასამართლო
ლისუფლების სისტემაში
ხელმწიფო სახელით სასამართ-
ლოში ბრალდებას
მხარს.

დასავლეთ ევროპისა და
რიკის კონტინენტზე ზოგ
ლმწიფოში პროკურორის
სად ფართო უფლებები

როცა ამერიკის შეერთ
შტატებში პროკურატურის
ლზე ვლაპარაკობთ, პირველ
გში, უნდა აღვნიშნოთ, რომ
მაზე, სადაც სასამართლო
სუფლება, კლასიკური გაგებ
მოქმედებს. ცნობილია ამერიკ
სამართალდამცავი დანაწილ
მიდორის სისტემები
ველი, ამერიკაში სასამართლ
ები არ წარმოადგენენ ერთ
სასამართლო სისტემას,
თლობი შტატებში ერთმანეთი
გან დამოუკიდებელი სისტემ
მრავალსახეობაა, ისე, როგორ
ამერიკული სამართლის წყარ
სადაც მოსამართლენი
იყენებენ და განმარტავენ
ნებს, რომლებიც სხვა
შია შემუშავებული.
მართლწარმოების სისტემ
ღრესად დიდი სირთულეს
თვალისწინებითაა განსაზღვ
პროკურორის ფუნქციები,
დიფერენცირებული მისი უფ
ბები ყველა რანგისა და
მიერ გამოძიების წარმო
ემიგრაციის და ნარკოტიკე
ის, საბაჟო, საპატრულო სამს
რის, სასჯელთა აღსრულები
წესებისა, ასევე სხვა უწყ
ვნელობისა სახელმწიფო
მიანიმხე ზედამხედველობის
ზით.

იტალიაში და საფრანგეთ
პროკურატურა უაღრესად
თო უფლებებითაა აღჭურვ
გეეცნობა იტალიის კონსტიტუ
ასა და კანონმდებლობას სა
ხავს პროკურატურისადმი
მექსიკისა და ესპანეთის კონს
ტუციების ზოგიერთი
შინაარსი კი არასპეციალის
საც ნათელ წარმოდგენას
ნის ამ ქვეყნებში პროკ
მის როლზე სახელმწიფოში
ნონიერების დაცვაში.

ჩემი ღრმა რწმენით,
სადმე საჭირო პროკურ
არსებობა, ეს საქართველო
ეიმი პრაქტიკულად მოშლილი

ისიც უნდა ვთქვათ, რაც
კარგი პროკურატურა,
და უშიშროების სამსახური
ნდებს, თუ სასამართლო
როგორც სასამართლო ხელ
ფლება არ ჩამოყალიბდება, არ
რი გამოვა.

— ამერიკიდან დაბრუნები
მაინც რა მიგანიშნით, თქვენს
ტებში დაუყოვნებლივ
რებლად და რა პერსპექტივ

— აუცილებელია სასამართლ
ში პროცესის დაწყების ინსტ
ტისა და გამოძიების ზოგიერ
აპის მარეგულირებელი
დებლო ნორმების გამოქვ
წინასწარმა გამოძიებამ უნდა
კრიბოს დანაშაულის მამხილ
ლი მტკიცებულებები, მაგრამ
შაულის კვალიფიცირების უფლ
სასამართლოს უნდა დარჩეს.

უნდა შეიცვალოს საქმის
ლების შესწავლისა და გან
ლევის წესი. სასამართლო
იყოს სასამართლო და არა გა
ძიების მიერ შეკრებილი
ბის ფიქსატორი.

პროკურატურა: საკითხები
და გადაწყვეტის სასამართლ
ხელისუფლებამ და შეიქმნას
თი ინსტიტუტი, რომელ
არის ნაფიც მსაჯულთა
თლი, თავისი მომხსენებ
ნით, ტექნიკური აღჭურვილ
თა დღევანდელი მოთხოვნ
დღეს, საერთოდ, არ გააჩნი

ბატონმა ანზორმა
ამერიკელ კანონიერების
რომ მიუკერძოებელი,
წელიწადი მაინც გვინდა,
დაუყოვნებლივ, კატეგორიულ
უნდა აღიკვეთოს სამართლ
ცავი ორგანოების საქმიანობ
ყოველგვარი უკანონო ჩა
თვითონ ორგანოები
ველი სამართლებრივ
ლების
ამთავრა:

— ამერიკელები აშკარად
რძნობინებდნენ და საქართ
გამობატავდნენ კიდეც:
დახმარების იმედი ნუ
თქვენს გახაკუთებლს სხ
გაკეთებს.

ერთი სიტყვით,
ოცნების კოშკებს არ
საკუთარ ქვეყანას თვითონ
უშველოთო...

რუსუდ
ლორთქიფანი

ქორი და მტრედი ერთ პიროვნებაში

სხვა გაზეთებიდან

მანფრედ ვიორნერის სიკვდილმა ბევრი დაამწუხრა



მანფრედ ვიორნერი დაიბადა 1934 წლის 24 სექტემბერს, ქალაქ შტუტგარტში. მიიღო იურიდიული განათლება. 1956 წელს შევიდა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში. 1965 წელს ამ პარტიისაგან აირჩიეს ბუნდესტაგის დეპუტატად. სადაც თავდაცვის საკითხების ექსპერტი გახდა. გატაცებული იყო ავიაციით და დაეუფლა „სტარფაიტერის" პილოტის პროფესიას. ჰელმუტ კოლის პირველ მთავრობაში, 1982 წელს, გახდა თავდაცვის მინისტრი. მტკიცედ გაილაშქრა ხმაურით რადიუსის მოქმედების ბირთვული რაკეტებით „დამატებითი შეიარაღების" ნატოს პრინციპის წინააღმდეგ. 1988 წლის ივლისში, ბერლინის კედლის დანგრევისა და გერმანიის გაერთიანებამდე ერთი წლით ადრე, დაინიშნა ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე, მხარს უჭერდა იმის აუცილებლობას, რომ ნატოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში მიეღოთ ცენტრალური და აღმოსავლეთევროპული ყოფილი მტრები. 1990 წელს პირველად ჩავიდა მოსკოვში. გარდაიცვალა 1994 წლის 13 აგვისტოს.

IN MEMORIAM

ჯერ კიდევ თითქმის არავის უზეიმია კიბოს დამარცხება. ამ ბოლოს კიბოსაგან გარდაცვლილმა ნატოს 59 წლის გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვიორნერმა ორ წელიწადში ხუთი ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ თითქმის ბოლო დღემდე განაგრძობდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობას ღამის სხდომებს. იგი ბოლომდე ებრძოდა სენს, ჯერ კიდევ ივნისში ფიქრობდა, რომ საზღვრული არადეგების შემდეგ კვლავ მთლიანად შრომისუნარიანი გახდებოდა.

მაგრამ მარტო ვაჟკაცობა როდი იწვევს წუხილს მისი გარდაცვალების გამო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი ლაპარაკობდა ვიორნერის გმირულ ქცევასა და „ევროპაში დემოკრატიისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილ სერიოზულ წვლილზე".

ის იყო ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე და ლოიალური მეგობარი. როგორც ამტკიცებენ, თავის პოსტზე ყოფნისას ბუნდესკანცლერ ჰელმუტ კოლთან მიმოწერაში მხოლოდ ინგლისურ ენას იყენებდა. კოლი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, რომ ვიორნერი ასახიერებდა „დასავლეთის სიმტკიცეს ცივი ომის დროს". ბუნდესკანცლერის პოლიტიკური ოპონენტი, სოციალ-დემოკრატების ლიდერი და მათი კანდიდატი ამ პოსტზე, რუდოლფ შარპინგიც კი იძულებული იყო, შეხედულებათა მკვეთრი განსხვავების მიუხედავადაც კი, ღრმა მწუხარებით გამოხმაურებოდა ვიორნერის გარდაცვალებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ღალიმ ნატოს გენერალური მდივნის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ თავის გამოხმაურებაში განაცხადა, რომ სწორედ ვიორნერი ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის ისტორიაში მისი უმაღლითო ტრანსფორმაციის პერიოდში. განსაკუთრებით აღნიშნავდა მის წვლილს ორივე წამყვანი საერთაშორისო სტრუქტურის ურთიერთმოქმედების გაძლიერებაში და ყოფილ იუგოსლავიაში მშვიდობიანი მოწესრიგების ძიებაში. ვიორნერის დაკრძალვაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლად დაინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული შტაბსადგომის დირექტორი ვლადიმერ პეტროვსკი.

იმის მიუხედავად, რომ ყველანი ძალზე დაამწუხრა ნატოს გენერალური მდივნის გარდაცვალებამ, უნდა ვიფიქროთ მომავალზეც, და ნატოს ბრიუსელის შტაბსადგომში უკვე მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები მისი მემკვიდრის გარშემო. როგორც ამტკიცებენ, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მართალია იცოდა რა ერთადერთი შესაძლო შედეგიც მოჰყვებოდა ამ მძიმე სენს, მაგრამ იგი არ ემზადებოდა ვიორნერის, რომლის უფლებამოსილებანი დასრულდებოდა მხოლოდ 1994 წელს, მემკვიდრის კანდიდატურას. ცნობილია ამ პოსტზე ჰოლანდიის პრემიერის რუუდ ლიუბერსის პრეტენზიები. თუმცა მის წინააღმდეგ მოქმედებს ის ვითარებაც, რომ ორი მისი თანამემამულე უკვე ხელმძღვანელობდა თექვსმეტი ქვეყნის ალიანსს, თანაც, იოზეფ ლუნსი — თანამიმდევრულად 13 წელიწადს. კი. იგივე ეხება ჰოლანდიელ ჰანს ვან დენ ბროკსაც, რომელიც ამჟამად ევროპის საგარეო პოლიტიკის კომისიის პასუხისმგებელია.

სხვა კანდიდატებად მიიჩნევენ დანიისა და ბელგიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრებს — უფე ელემან-იენსენს და მარკ ეისკენსს. იმასაც ამბობენ, რომ კარგი შანსი აქვს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრს მალკოლმ რიფკინდს, თუმცა ნატოს გენერალურ მდივნად უკვე იყო ორი ბრიტანელი, რომელთაგან ბოლო — ლორდი კარინგტ
ვიორნერის წინამორბედი
დათ. არჩევანი შეიძლება
ნორვეგიელსაც — ბუნდეს
ერთიანებული ერების ორგან
ციის შუამავალს —
სტოლტენბერგს. მის შანსებ
ერთიანებული ერების ორგან
ციის ამ პოსტით დაინტე
ამცირებს.

არჩევანს, ალბათ, გააკ
ორგანიზაციის საბჭოში ნატ
პარტნიორი ქვეყნის მთავრ
თან კონსულტაციით
მინისტრების
იქამდე კი გენერალური მ
მოვალეობას შეასრულებს
სერჯო
ჯერჯერობით კი მსოფ
წუხრებულია ვიორნერის
ომის პერიოდში ყოფილი
და ამ ომის დამთავრების
დიგ მტრედად გადაქცეული
ფრედ ვიორნერის გარდაცვ
გამო.

მიხეილ კარპოვი,
„ნეზავისიმაია გაზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1994 წლის 24 აგვისტო უკრაინის დამოუკიდებლობის დღეა

ეკონომიკა — უკრაინის ძლიერების საფუძველია!

ვუახლოვდებით მესამე წლისთავს; როცა 1991 წლის 24 აგვისტოს უკრაინის უმაღლესმა საბჭომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი მიიღო.

განვლილი პერიოდი, უკრაინაში უაღრესად რთული სიტუაციის მიუხედავად, პესიმიზმის საბაბს არ გვაძლევს. ამ დროის მანძილზე ქვეყანამ ნაბიჯი გადადგა ნამდვილი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა შეცვლის გზით, თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. გამოჩნდა გარკვეული დადებითი ტენდენციები ეკონომიკაში, თუმცა მათი მყარი ხასიათის შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

წლევანდელი მარტიდან, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, საზოგადოებრივი წარმოების დაქვეითების სწრაფი ტემპის მიუხედავად, შეიმჩნევა პროდუქციის მატების, ინფლაციის შენელების თანდათანობით გაძლიერების პროცესი. თუ იანვარში ინფლაციის მატებამ შეადგინა 19.2 პროცენტი, უკვე ივნისში 3.9 პროცენტამდე შემცირდა და წლის დამდეგიდან ყველაზე მცირე იყო.

მთლიანად კი, ის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფო განიცდის, ძალზე მძიმეა. ასეთი მდგომარეობის მიზეზები უმაღლესი საბჭოს სესიაზე თავის გამოსვლაში ზუსტად განსაზღვრა უკრაინის ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა ვ. ა. მასოლმა: არა გვაქვს ეკონომიკის რეფორმირების გაბედული და ზუსტი გეგმა, ვმერყეობთ. გამუდმებით ხან ერთ ეკონომიკურ პროგრამას ვეპოტინებით, ხანაც — მეორეს.

ახლანდელ სიძნელეებს სუბიექტურის გარდა ობიექტური მიზეზებიც ასულდგმულებს. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინამ ბევრ საკითხში საქმიანობა ნულიდან დაიწყო. მაგალითად, შექმნა საკუთარი საბანკო, საფინანსო სისტემა, რიგი სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებსაც წინათ ავტონომიური რეჟიმით არ უმუშავიათ, რადგანაც საერთო-საკავშირო სახელმწიფო მექანიზმს წარმოადგენდნენ.

დღეს იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ შეიცვალა გულუბრყვილო რომანტიზმი თავისი ვარდისფერი იმედებით, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გაუმჯობესდებოდა ხალხის ცხოვრება. იგი ემყარება იმ გაგებას, რომ ძირეულ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები შესაძლებელია საბაზრო გარდაქმნების გაღრმავების, საკუთრების, შემდგომი რეფორმების, მეურნეობის გაძღოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების პირობებში.

დამოუკიდებლობის წლებში ბევრი მწარე გაკვეთილი ვიწვნიეთ და ერთი იმათგანი ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან თვითიზოლაციამ უკრაინას, უპირველესად ყოვლისა — მის ეკონომიკას, უდიდესი ზარალი მიაყენა. წინათ, როცა საბაზრო ანგარიშსწორება არ არსებობდა, სსრ კავშირის თითოეულ რესპუბლიკას, მათ შორის ჩვენს ქვეყანასაც, მიაჩნდა, რომ სხვები მისი ხარჯით ცხოვრობდნენ, მას სხვებზე მეტს ართმევდნენ. ახლა ნათლად გამჟღავნდა ჭეშმარიტება. ამჟამად აუცილებელია აღვადგინოთ სახალხო-სამეურნეო ურთიერთობანი, რომლებიც მრავალი ათწლეულის მანძილზე დამყარდა, ვეძიოთ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ახალი გზები და მეთოდები.

უკრაინისათვის ყველაზე ეფექტიანი და გადაუდებელია ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული კომპლექსების ეკონომიკური ურთიერთმოქმედების აღდგენა. ამ ამოცანის გადაწყვეტის ორგანიზაციული ფორმაა ტრანსეროვნული სტრუქტურების — კორპორაციების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, კონცერნების შექმნა.

ჩვენს ქვეყანაში საფინანსო-ფულადი სისტემების მდგომარეობის სპეციფიკა გვიკარნახებს, რომ აუცილებელია საქმიან პარტნიორთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთანგარიშსწორების მექანიზმების გამარტივება ანგარიშსწორების ოპერაციების დეცენტრალიზაციის გზით, დამოუკიდებელი საფინანსო ჯგუფების შექმნა.

ყოველივე ამან საერთო სარგებლობა უნდა მოგვიტანოს — ეკონომიკა გამოაცოცხლოს.

ეკონომიკურ ურთიერთობაში უდიდესი შესაძლებლობები არსებობს უკრაინასა და ჩვენს მეგობარ საქართველოს რესპუბლიკას შორის და ჩვენი საელჩოს მიზანია ყველა შესაძლო საშუალებით ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

სახელმწიფოს, ქალაქებისა და რაიონების, საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოების ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა და საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ ახლანდელ რეალიებზე დამყარებული ძველი ურთიერთობების აღდგენასა და ახალი კავშირების დამყარებას, თანამშრომლობის ურთიერთმისაღები ფორმების ძიებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება უკრაინისა და საქართველოს ეკონომიკისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ თანამშრომლობის ფორმებად შეიძლება გადაიქცეს ერთობლივი საწარმოები და ბანკები, სხვადასხვა სფეროში ურთიერთ-სასარგებლო პროექტების შემუშავება და ინვესტირება, ორ ქვეყანას შორის ჯეროვანი საექსპორტო-საიმპორტო ინფორმაციის მიწოდება და ა. შ.

საელჩომ უკრაინის სამთავრობო სტრუქტურების განსახილველად და შესაბამის გადაწყვეტილებათა მისაღებად გადასცა ეს და ბევრი სხვა წინადადება.

უკრაინელი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს ეგებება იმ რწმენით, რომ ხელიხელჩაკიდებულნი, ერთმანეთის მხარდამხარ, ურთიერთდახმარებით დაძლევს ახლანდელ სოციალურ-ეკონომიკურ სიძნელეებს და თავის მეზობლებთან მჭიდრო თანამშრომლობით მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შევა როგორც სრულფასოვანი პარტნიორი.

იური ჩუგაენკო,
საქართველოს რესპუბლიკაში უკრაინის საელჩოს მრჩეველი.

მუსიკა

უცხოეთის ცის ქვეშ

ჯერ კიდევ, სსრ კავშირის დაშლამდე, ხელოვნების ბევრი ვარსკვლავი აიძულეს მიეტოვებინათ სამშობლო და მუზების სამსახური — უცხო ქვეყნებში განეგრძოთ. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა ბოლო წლებში. ახლა მრავალი მომღერალი, მუსიკოსი, მხატვარი... უცხოეთის ულრუბლო ცის ქვეშ ლუკმაპურის არსობისა თავისი ხელოვნების წყალობით შოულობს. რუსეთიდან „ლტოლვილებს“ ყოფილი საბჭოეთის იმპერიის ყოფილი რესპუბლიკების ხელოვნების წარმომადგენლებმაც „აუწყვეს ფეხი“.

რას ვიზამთ — „გაჭირვება მიჩვენე, და გაქცევას გიჩვენებო“!

სურათზე: სანქტ-პეტერბურგის საოპერო თეატრის ყოფილი მომღერალი ლუბოვ კაზარნოვსკაია, რომელიც ხუთი წლის წინათ იძულებით წავიდა დასავლეთში და ახლა წარმატებით გამოდის ვენის, ზალცბურგის, მილანის, ნიუ-იორკისა და სხვა „საოპერო“ ქალაქების ცნობილი თეატრების სცენაზე (ახლა იგი კვლავ მოიწვიეს მშობლიურ ქალაქში გასტროლებზე) თავის პარტნიორებთან — ცნობილ მომღერლებთან **ფრანჩესკო არაიზასა** და ასევე „დევნილ“ თუ „ხიზან“ ჩვენებურ მსოფლიო საოპერო სცენის მშვენებასთან, **პაატა ბურჭულაძესთან** ერთად.

გიორგი ვაჩნაძე — საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი

კიდევ ერთი სახელოვანი გამარჯვება მსოფლიო მუსიკალურ ასპარეზზე იზეიმა ქართულმა საშემსრულებლო სკოლამ. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიში ახლახან დამთავრდა ცნობილი პიანისტი ქალის ჯინა ბახაუერის სახელობის პიანისტთა დიდი საერთაშორისო კონკურსი, სადაც ლაურეატის წოდება მოიპოვა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აღზრდილმა. ინდიანის უნივერსიტეტის მუსიკალური განყოფილების ასპირანტმა, ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა გიორგი ვაჩნაძემ. კონკურსში მონაწილეობდა სამოცდაათი შემსრულებელი მსოფლიოს 22 ქვეყნიდან, რომელთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის წარმომადგენლები... გიორგი ვაჩნაძემ დიდი წარმატებით გაიარა კონკურსის ოთხივე ტური. როგორც ჟიურიმ აღნიშნა, მან შესანიშნავად შეასრულა ბეთჰოვენის, შოპენის, პროკოფიევის, რაველის ნაწარმოებები. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ფინალურ ტურში რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტის შესრულების შემდეგ ქართველ კონკურსანტს მსმენელებმა შვიდჯერ უხმეს სცენაზე, ფეხზე ამდგარმა სამიათასმა ადამიანმა ოვაცია მოუწყო ახალგაზრდა მუსიკოსს. კონკურსზე დაწესებული უკეთესი პრემიიდან ჟიურის გადაწყვეტილებით გიორგი ვაჩნაძეს მეოთხე პრემია და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

დაწყებითი მუსიკალური განათლება გიორგი ვაჩნაძემ თბილისის მე-8 სამუსიკო სკოლაში მიიღო პედაგოგ ლ. ბახტაძის ხელმძღვანელობით. ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში და ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში იგი ათი წლის განმავლობაში მეცადინეობდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის პროფესორ ვანდა შიუკაშვილის კლასში. ამჟამად ქართველი პიანისტი განაგრძობს სწავლას ინდიანის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩვენი ცნობილი თანამემამულის პროფესორ ლექსო თორაძის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ვაჩნაძე ბატონ ლექსო თორაძის მოწაფეთაგან პირველია, რომელმაც ასეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას მიაღწია. თავად გიორგის მასწავლებელი ლექსო თორაძე ამჟამად სანქტ-პეტერბურგშია, სადაც მონაწილეობს დიდ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში. იგი შეასრულებს რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტს, სწორედ იმ ნაწარმოებს, რომელმაც კონკურსზე უდიდესი წარმატება მოუტანა მის მოწაფეს.

მერი გაბრიაძე

რეკლამა

რა ხდება კორპორაცია „სასკოში“?!

კორპორაცია „სასკოს“ გამგეობის ღია ანგარიში (ივლისი, 1994 წ.)

1994 წლის 25 ივნისს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას კორპორაცია „სასკოსა“ და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ფირმა „ჰარვარდ ინვესტმენსს“ შორის.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად კორპორაცია „სასკოს“ მართვის უპირატესი უფლება გადაეცა უცხოელ ინვესტორს, რომელმაც შეთანხმების საფუძველზე შეიძინა კორპორაციის აქციების 50 000 ამერიკულ დოლარად ღირებული საკონტროლო პაკეტი, რაც შეადგენს „სასკოს“ საწესდებო ფონდის 51,2 პროცენტს და აფინანსებს ყველა ღონისძიებას, რომელიც მიმართულია „სასკოს“ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ინვესტორმა დართო ნებართვა კორპორაცია „სასკოს“ აღნიშნული თანხა — 50 ათასი აშშ დოლარი მოიხმაროს კრედიტორების ვალის დასაფარავად და პირველი ოთხი თვის განმავლობაში უარი თქვა განახლებული კორპორაციის მოგების თავის წილზე.

უკვე დაიწყო მცირე თანხებზე დადებული საფრასტო ხელშეკრულებების გასტუმრება. ივნის-ივლისში გასტუმრებულია 288, საერთოდ კი — 367 საფრასტო ხელშეკრულება, სულ — 50 000 აშშ დოლარი.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ინვესტორი დამატებით გამოჰყოფს ფინანსურ საშუალებებს „სასკოს“ ვალების დასაფარავად.

მოსახლეობისათვის საფრასტო დავალიანებების დაფარვა გრძელდება დადგენილი წესების მიხედვით ვალდებულებათა სრულ დაფარვამდე (საორიენტაციო ვადა 1994 წლის ბოლო). ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ერთგვარად დაირღვა ვალების გასტუმრების დასახული ვადები.

ივლისში სამჯერ ჩატარდა „სასკოს“ აქციების გაყიდვა. საშუალოდ, აქციების კურსის ზომიერმა ზრდამ შეადგინა 1982,5 რუბლი ანუ 198,25 პროცენტი აქციების გაყიდვა შეზღუდული იყო, ხოლო შესყიდვა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე წარმოებდა.

ივლისში ორჯერ ჩატარდა აქციების გათამაშების ტირაჟი: პირველი — 10 მლნ. კუპონის, მეორე — 12 მლნ. კუპონის ოდენობით.

მთავრდება მოლაპარაკება ფირმა „მენსთან“ მაკომპლექტებელი ნაწილების მოწოდებისა და პერსონალური კომპიუტერების საქართველოში წარმოების შესახებ კორპორაცია „სასკოს“ მარკით.

დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის ფირმა „პროდოვოლსტვენი ალიანსთან“ საქართველოში სუპერმარკეტების ქსელის შექმნისა და ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ. ოფიციალური იმპორტიორი „აკო-იმპექსი“ მზადაა მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილები და საცხებ-საპოხი მასალები გამოგზავნოს საქართველოში კორპორაცია „სასკოს“ მეშვეობით.

ზემოთ თქმული მხოლოდ დასაწყისია ჩვენი მოღვაწეობისა. მზადდება პროექტების პაკეტი ფართო მოხმარების საგნების, მცირეგაბარიტიანი ავტომობილებისა და ტრაქტორების წარმოების შესახებ და ა. შ.

კორპორაცია „სასკოს“ დაწვრილებითი ღია ანგარიშები გამოქვეყნდება რეგულარულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე უმორჩილესად ვთხოვთ ყველა გაზეთის რედაქციასა და ჟურნალისტებს თავი შეიკავონ ჭორებისა და გადაუმოწმებელი მონაცემების გამოყენებისაგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები კორპორაცია „სასკოს“ მოღვაწეობაში და როგორც ამის შედეგი — მეანაბრეთა სამართლიანი გულისწყრომა.

მოსახლეობის ვალების დაფარვის პროცესის დასაჩქარებლად კორპორაცია „სასკოს“ გამგეობა მოუწოდებს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს კორპორაციისათვის ვალების დაბრუნებისაკენ.

კორპორაცია „სასკო“

XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ისტორიული სახელმწიფო ნიშნების იგნორირება, რაც, არსებითად, ქრისტიანობის რევიზია იყო. ეს პროცესი დღესაც არ დამთავრებულა.

日本
ნი ჰონ

ასე უწოდებენ თავის ქვეყანას იაპონელები. ქართულად ეს დაახლოებით „მზის მემკვიდრეებს“ „მზის შვილებს“, ნიშნავს. გრაფიკულად იგი ორი იეროგლიფით გამოისახება - ერთი აღნიშნავს მზეს, მეორე ფესვიან ხეს-მემკვიდრეს. იაპონურ დროშაზეც მზის სიმბოლო - წითელი დისკოა გამოსახული.

ახლა ლეგენდაც გავიხსენოთ, რომლის თანახმად კოლხეთის მეფე აიეტი მზის, ჰელიოსის შვილია. ეს ნიშნავს, რომ ქართველები, ვისაც თავი აიეტის მემკვიდრეებად მიგვაჩნია, ამასთანავე მზის მემკვიდრეები ვართ. ანუ ქართველებს და იაპონელებს ერთი დიდი და კაშკაშა წინაპარი გვყავს — მზე.

თუ აიეტის ახლანდელი მემკვიდრეები დავივიწყებთ საკუთარ ისტორიას, ყველაფერს, რაც ჩვენს წინაპრებს შეუტანიათ მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში, თავისუფლად და სინდისის ქენჯნის გარეშე შეგვიძლია თავი მზის შვილებად გამოვაცხადოთ და ჩვენს დროშას, იაპონელთა მსგავსად, ცეცხლოვანი მზის ემბლემა დავახატოთ.

იაპონიის, მით უფრო, მაცოცხლებელი მზის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ როცა საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლიკაზე ფიქრობ, კაცი უნებურად მწარე ირონიის ხასიათზე დგები.

მკითხველს დიდი მოკრძალებით შევახსენებ, რომ საქართველო არის უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანა. იგი არის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქრისტიანული სამეფოს მემკვიდრე. ვიმეორებ: დღევანდელი საქართველო არის არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არა მენშევიკური სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ სწორედ საქართველოს სამეფოს მემკვიდრე. ჩვენ ვართ არა რომელიმე ეგზოტიკური ბანანების რესპუბლიკა, რომელსაც თავის გერბზე კალაშნიკოვის ავტომატის დახატვა შეუძლია, არამედ ვართ მემკვიდრეები უზარმაზარი ისტორიისა და კულტურის სამეფოსი, რომელსაც ჰქონდა თავისი ღირსეული სახელმწიფოებრივი სიმბოლოები: გერბი - „სამეფო, კვართიანი დავითიანი საქართველოსი“ და ხუთი ჯვრით შემკული დროშა „გორგასლიან-დავითიანი“.

ჩვენმა წინაპრებმა დიდი ხნის წინათ იზრუნეს სახელმწიფო სიმბოლიკაზე, შექმნეს იგი და ავად თუ კარგად დღემდე შემოგვინახეს.

მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ არ გვჭირდება არაფრის გამოგონება. ყველაფერი დიდი ხნის წინათ გამოგონებული და დადგენილია. გვჭირდება მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის აღდგენის თაობაზე.

ეს ისე ცხადი და გასაგებია, თითქოს მტკიცება არც უნდა სჭირდებოდეს.

დღევანდელი სახელმწიფო სიმბოლიკა რომ ნაკლოვანია, ამაზე, საბედნიეროდ, არავინ დავობს. დავა და ჩუმი ბრძოლა იმაზე მიმდინარეობს, რაც ისტორიული და საამაყო გვაქვს, ის აღვადგინოთ, თუ ჩვენვე რაიმე ახალი გამოვიგონოთ, მაგალითად, ამომავალი მზის ფონზე გადაჯვარედინებული ყანწები ყვითელ-ყვითელ ფორთოხლებთან ერთად.

ინტელიგენციის დიდი ნაწილის მცდელობის მიუხედავად, ეტყობა, საქმე მართლაც ამგვარი აბსურდისკენ მიდის. ამის პირველი ნიშანი გახლდათ ბორჯღალით შემკულ-გალამაზებული კუპონი. ხოლო მეორე ძალიან შემაშფოთებელი სიმპტომი არის ქართული პასპორტი.

პასპორტი, იმის გარდა, რომ მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია, სახელმწიფოებრიობის სიმბოლოც გახლავთ. მასზე შეიძლება გამოისახოს მხოლოდ სახელმწიფოს გერბი ან არ გამოისახოს არაფერი.

ახალ ქართულ პასპორტზე, თუ თვალმა არ მომატყუა, ისევდაისევ ბორჯღალია გამოსახული.

არც მე ვიცი და, საერთოდ, საზოგადოებისთვის უცნობია ბედნავსი ქართული კუპონისა და ახალი ქართული პასპორტის ავტორი. სტილს თუ დავაკვირდებით, ეს ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს, რომელსაც ვიღაცამ უბრძანა ჯერ კუპონის, მერე პასპორტის შეთხზვა და მანაც პირნათლად შეასრულა დავალება. მომავალში, ალბათ, ფულსაც სიამოვნებით დახატავს, მით უფრო, გამოცდილება აქვს. ამით შემზადდება ნიადაგი კიდევ უფრო სერიოზული სიმბოლოების, გერბისა და დროშისთვის და ბორჯღალი იქაც უეჭველად მოგვევლინება.

ბორჯღალი, ანუ წრეში ჩახატული სტილიზებული მრავალფრთიანი სვასტიკა საკმაოდ ცნობილი ფიგურაა. ამგვარ გამოსახულებას ხშირად ნახავთ, მაგალითად, სვანეთში — კიდობანზე, საწოლზე, სკამზე... იგი არის ჩვეულებრივი, საკმაოდ სიმპათიური ორნამენტი, რომელსაც ჩვენი წინაპარი საყოფაცხოვრებო საგნებზე, ზოგჯერ დედაბოძზეც ამოტვიფრავდა ხოლმე (თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ იგი შეიძლება მზის სიმბოლოც ყოფილიყო).

სახელმწიფო სიმბოლოდ ბორჯღალის აღიარება სრული გაუგებრობა და უდიდესი მკრეხელობაა ერის, ქვეყნის, მისი წარსულისა და მომავლის წინაშე.

სახელმწიფო ნიშნების დადგენა მეცნიერების საქმეა, მათი მიღება-დამტკიცება არის პარლამენტის პრეროგატივა. მან უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება - როგორი სიმბოლოები გვჭირდება. ამის შემდეგ შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი მხატვარი, თუნდაც გენიალური, ამ საქმეში არის არა შემოქმედი, სიმბოლოების (გერბის, დროშის) მთხზველი, არამედ მხოლოდ ინტერპრეტატორი, ისიც ძალიან, ძალიან ფრთხილი.

ნებისმიერი მხატვრისთვის თუნდაც პასპორტის შეთხზვის დავალების მიცემაც არის აშკარა და მიუტევებელი შეცდომა.

რა თქმა უნდა, გასაგებია ადამიანის სურვილი, შექმნას ქვეყნის, სახელმწიფოს სიმბოლიკა და ამით სამუდამოდ დაიმკვიდროს ადგილი ისტორიაში. მაგრამ ჩვენ ხომ უკვე დიდი ხანია გვაქვს ეს სიმბოლოები - გერბი კვართიან დავითიანი და ხუთი ჯვრით შემკული დროშა გორგასლიან-დავითიანი.

ქართულ პასპორტზე ვიღაცამ ბორჯღალის მიხატვა იმიტომაც გაბედა და მოახერხა, რომ ჩვენს ყოფაში, ჯერჯერობით, გერბისა და დროშის ადგილები ვაკანტურია. სამწუხაროდ, სახელმწიფო სიმბოლიკის დასადგენად სერიოზული მეცნიერული მუშაობის ნაცვლად, ყოვლად გაუგებარი, ძალზე ხშირად, მკრეხელურად ზერელე საუბარი მიმდინარეობს. მარტო ის რად ღირს, რომ ზოგი ფრიად სერიოზული და გამოჩინებული პიროვნება, მეცნიერი დღევანდელი ქართული დროშის ფერებს რაღაც აბსურდულ სკნელს, ქვესკნელს და ზესკნელს უკავშირებს. სრული უმეცრებაა! მაგალითისათვის მოგახსენებთ, რომ ჰერალდიკაში წითელი (პორფირი) ფერი ღირსების, ძალისა და ძლევამოსილების სიმბოლოა (და არა ბრძოლებში დაღვრილი სისხლისა, როგორც კომუნისტები იტყუებდნენ თავს), შავი — კეთილგონიერებისა და მორჩილებისა (და არა ქვესკნელის, ჯოჯოხეთის და მოუსავლეთისა), მწვანე — სიხარულის, იმედისა და სიუხვისა (და არა აყვავებული ტყე-ველებისა)...



სრულ გაუგებრობაზეა აგრეთვე დაფუძნებული რაღაც წარმართულ-ათეისტური თეორია ქართულ სახელმწიფო ნიშნებზე (გერბი, დროშა) ქრისტიანული სიმბოლოების უარყოფის თაობაზე — ვაითუ, საქართველოში მცხოვრები არაქრისტიანები გავაღიზიანოთო!

არ გახლავთ, ბატონებო, ასე. ქრისტიანული საქართველოს სამეფოს სახელმწიფო ნიშნების აღდგენით არავის გავაღიზიანებთ. ქრისტეს, როგორც ღმერთის მოციქულს, ისევე მიაგებენ პატივს ისლამის მიმდევრები, როგორც მუჰამედს. ჯვარი არ აშინებს და არ აღიზიანებს არცერთი რელიგიის ჭეშმარიტ აღმსარებელს.

მოდით, თავი დავანებოთ ცრუ-პატრიოტიზმსა და ცრუ თავმდაბლობას, რომლის იქით მშვენივრად ილანდება მავანთა განუზომელი ამბიციები და იმას მოვუაროთ, რაც ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა გვიანდერძეს.

ბორჯღალიანი პასპორტები კი ისევე უჩუმრად უნდა გაუჩინარდეს, რა უჩუმრადაც ჩვენს ცხოვრებაში გაჩნდა.

თეიმურაზ ქორიძე

თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი

დამატებით აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის იურიდიულ ფაკულტეტზე — სპეციალობა სამართალმცოდნეობა (დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება).

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა 086), 4 ფოტოსურათი (3X4); პასპორტსა და სამხედრო ბილეთს აბიტურიენტები წარადგენენ პირადად.

ინსტიტუტში სწავლების ვადა 4 წელია.

საბუთები მიიღება 20 სექტემბრამდე. „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში, **მისამართი:** კოსტავას ქ. №14, მე-5 სართული, 10 საათიდან 16 საათამდე.

სწავლება ფასიანია, ჩარიცხვა გასაუბრებით.

ჩვენი ტელეფონებია: 93-23-18, 99-76-03; შიდა: 4-13, 4-76, 4-75.

თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი.

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის კერძო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი

1. ტელე-რადიო ჟურნალისტი

უცხო ენების ფაკულტეტი

1. სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნა და საინჟინრო ექსპერტიზა (ინგლისური, გერმანული)

ეკონომიკის ფაკულტეტი

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა

სამედიცინო აპარატურის ფაკულტეტი

1. ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურის სისტემები

იურიდიული ფაკულტეტი

1. სამართალმცოდნეობა

კავშირგაბმულობის ფაკულტეტი

1. კოსმოსური კავშირგაბმულობა
2. ელექტრონული ფოსტა
3. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა
4. სპეცდანიშნულების კავშირგაბმულობის სისტემები
5. სატრანსპორტო კავშირგაბმულობა.

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების საფუძველზე სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება იწარმოება 10 საათიდან 16 საათამდე, ყოველდღე გარდა შაბათისა და კვირისა.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი ბევრეთის ქ. №8
ტელ.: 98-78-78, 93-22-88 მეტრო 300 არაგველი
კრწანისის მოედანი (ბაგრატიონის ძეგლი).

თბილისის ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას შემდეგ ეკონომიკურ, საინჟინრო და იურიდიულ სპეციალობებზე:

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი, წარმოების ეკონომიკა, მარკეტინგი, სოციალური დაგეგმვა, პატენტმცოდნეობა და სტანდარტიზაცია, ბიზნესის სამართალი.

სწავლების საფასური წელიწადში 25 დოლარის ეკვივალენტია.

ლექციებს კითხულობენ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები.

საბუთები მიიღება 1 სექტემბრამდე, ყოველ დღე, დღის 10 საათიდან 14 საათამდე,

მისამართით: ქავთარაძის, 16.

რექტორატი

იყიდება

საბურთალოს ცენტრში სპეცპროექტის 240 მ² ფართის ბინა, II სართულზე, I სართულზე კაპიტალური გარაჟით. სახლში მიმდინარეობს მიგა სამუშაოები. ბინას და გარაჟს აქვს რკინის კარები.

დარეკეთ 78-91-91 — მთელ დღეს (ლალი)
98-81-58 — დილით (მანულია)

საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 23 აგვისტო, 1994

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქინფორმი იტყობინება

ახალი გაზეთი — „ბორჯომის ხეობა"

ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, როცა პრესის ნამდვილი ბუმია, ახალი გაზეთის გამოსვლით ვერავის გააკვირვებ. და, მაინც, ყოველ ახალ გამოცემას ქართველი მკითხველი ინტერესით ხვდება. ვფიქრობთ, არც გაზეთ „ბორჯომის ხეობას" მოაკლდება დაინტერესებული მკითხველი და დამფასებელი, მით უფრო, რომ იგი შორსაა ყოველგვარი აჩირებული პოზიცია-ოპოზიციის გაუთავებელი შუღლა-შემოხლის ასახვისაგან, გაზეთს თავის უპირველეს მიზნად გაუხდია, ხელი შეუწყოს მხოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოსთან, მეზობელ რუსეთთან ტრადიციული მეგობრული კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას. გაზეთი ბორჯომის რაიონული გამგეობის, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოება „ბორჯომის ხეობა-ლისა" და კონცერნ „ბორჯომის ხეობის" ყოველთვიური ორგანოა.

გაზეთი თვეში ერთხელ გამოვა. მისი რედაქტორია რობერტ ცუცქირიძე.

ვუსურვოთ გაზეთ „ბორჯომის ხეობას" ღირსეულად ევლოს ცხოვრების გზაზე, პირნათლად იმსახუროს ამ უმშვენიერეს მხარეს, მის მრავალრიცხოვან მკითხველებს.

ჩეჩნეთში გაიტაცეს იტარ-საკდესის სპეციალური კორესპონდენტი

მოსკოვი, 22 აგვისტო. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). ჯერ კიდევ, დაუზუსტებელი მონაცემებით, ჩეჩნეთში კვირას ღამით, გაიტაცეს იტარ-საკდესის სპეციალური კორესპონდენტი მიხეილ შევცოვი. დღეს ეს გამტაცებელთა დავალებით სააგენტოს ტელეფონით აცნობა უცნობმა პირმა, რომელმაც უარი თქვა ვინაობის დასახელებასა და თავისი ადგილსამყოფელის დაზუსტებაზე, თუმცა, ამტკიცებდა, რომ, რეკავდა გროზნოდან. როგორც მან განაცხადა, გამტაცებლები გამოსასყიდად ორ მილიარდ მანეთს ითხოვენ. უცნობის თქმით, გატაცების მოტივია „არასარწმუნო ინფორმაცია, რომელიც ჩეჩნეთიდან ვრცელდება იტარ-საკდესის არხებით".

სიკეთე არ იკარგება

ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ტიტე სარიშვილის დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქალაქებიდან მოსულ მისალოც დეპეშათა შორის, ჩვენი ყურადღება ვლადიკავკაზის უნივერსიტეტის რექტორისაგან გამოგზავნილმა დეპეშამ მიიპყრო, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაზეთ „შიდა ქართლის" მთავარმა რედაქტორმა ვასილ ხაბანაძემ.

ეს იყო ბატონ ტიტე სარიშვილის ღვაწლის დაფასება, რომელიც უანგაროდ ემსახურა ოსი ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებას ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგედ, ხანგრძლივი წლების მანძილზე მუშაობის პერიოდში. მართალია, მხცოვან მეცნიერს ცხინვალის დატოვება მოუხდა, მაგრამ მის ამაგს არ ივიწყებენ მისი მოწაფეები, არც ცხინვალში და არც ვლადიკავკაზში.

საზოგადოება ინფორმირებული იქნება

როგორც ვიტყობინებოდით, 18 აგვისტოს გაჩიანი — ველის გადასარბენის მე-18 კილომეტრზე ერთმანეთს შეეჯახა სატვირთო და სახალხო მატარებელი გარდაბანი-თბილისი, არის ადამიანთა მსხვერპლი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროკურატურის ტრანსპორტზე კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, განხორციელდა ყველა პირველადი საგამოძიებო მოქმედება. გამოძიება გრძელდება. დადგენილი იქნება ობიექტური ჭეშმარიტება, ყველა დამნაშავე პასუხს აგებს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. საზოგადოებრიობა ინფორმირებული იქნება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

გამარჯვება, „დინამო"!

დღეს კრაიოვაში

თბილისის „დინამო" განმეორებით მატჩს გამართავს უეფას თასზე. ფეხბურთში „უნივერსიტატიას" გუნდთან. ქართველი ფეხბურთელები სტუმრად იმყოფებიან ანთიმოზ ივერიელის ქვეყანაში. რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მწერალი, მესტამბე და მხატვარი ანთიმოზ ივერიელი (1650-1716) წარმოშობით ხომ ქართველი იყო, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა რუმინეთის ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს. სწორედ მისი მოღვაწეობის წყალობით რუმინეთი XVII-XVIII ს. ს. მიჯნაზე მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად გადაიქცა. ანთიმოზ ივერიელისა და მისი მოწაფეების ღვაწლის შედეგად საფუძველი ჩაეყარა რუმინელი და ქართველი ხალხების მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობას. რუმინეთი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ, ქალაქ იასში, განისვენებს ბესიკი.

ქალაქი კრაიოვა რუმინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი და სამრეწველო ცენტრია. მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ რუმინეთში, მდინარე ჟოუს (დუნაის შენაკადი) ხეობაში. 1986 წლის მონაცემით, მოსახლეობა 281 ათასს აღწევდა. ამ პატარა ქალაქში არის 29 ეკლესია და 3 სინაგოგა (საერთოდ, რუმინეთის მოსახლეობის 88 პროცენტს რუმინელები შეადგენენ, დანარჩენი კი არიან გერმანელები, ებრაელები, უნგრელები, სერბები, უკრაინელები და სხვ.). კრაიოვას უნივერსიტეტი დაარსებულია 1966 წელს. „უნივერსიტატიას" ორი ფეხბურთელი (მცველი კორნელიუ პაპურა და ნახევარმცველი ოვიდიუ სტინგა) რუმინეთის ნაკრების წევრები არიან. ამ ნაკრებმა ხომ მსოფლიოს XV ჩემპიონატზე ფეხბურთში მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მსოფლიოს 24 ქვეყნის ნაკრებ გუნდებს შორის საპატიო მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

დღეს, 23 აგვისტოს, რუმინელი ხალხი აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს. ვულოცავთ რუმინელ მეგობრებს ამ დღესასწაულს. ვუსურვებთ თბილისის დინამოელებს ეჩვენებინოთ ლამაზი, მაღალტექნიკური თამაში.

სულიკო ნუცუბიძე.



18 საათზე თბილისის დროით —რადიორეპორტაჟი რუმინეთიდან

პროგრამა „ალიონის" ინფორმაციით, დღეს, 18 საათზე, ცნობილი სპორტული კომენტატორი კოტე მახარაძე გაუძღვება თბილისის „დინამოსა" და კრაიოვას „უნივერსიტატიას" მატჩის რადიორეპორტაჟს.

კრაიოვაში მივლინებულია აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი დავით ქლიბაძე, რომელიც ჩამოიტანს ვიდეომასალას, რათა უახლოეს დღეებში ფეხბურთის მოყვარულთ საშუალება ჰქონდეთ მატჩის ვიდეოჩანაწერი იხილონ.

ამჯერად სტუმრებმა იმარჯვეს

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში წარმატებით ითამაშეს სტუმრებმა. მათ აქტივშია 2 გამარჯვება და 3 ფრე. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: „დურუჯი"-„დილა" — 3:0, „ივერია"-„მარგვეთი" — 0:0, „მეტალურგი"-„გურია" — 1:0, „დინამო" (ზუგდიდი)-„შევარდენი" — 2:2, „საპოვნელა"-„დინამო" (ბათუმი) — 0:3, „სამგურალი"-„სამტრედია" — 1:1, „კახეთი"-„ტორპედო" — 0:2. შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს" და ფოთის „კოლხეთის" შეხვედრა ორი დღით ადრე გაიმართა და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონთა დამაჯერებელი გამარჯვებით — 4:0 დასრულდა.

მორიგ, მესამე ტურში 27 აგვისტოს დიდ ინტერესს იწვევს მატჩი ქუთაისში ლიდერებს — ადგილობრივ ავტოქარხნელებსა და თბილისის დინამოელებს შორის.

[illegible] და ჩვენ

წლევანდელი წელიწადი პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის საიუბილეოა, მას დაარსების 85 წლისთავი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ თამაზ შურაძეს.

მომავალს ზრუნვა უნდა

პედიატრიის ინსტიტუტის პრობლემები და პერსპექტივები

— ბატონო თამაზ, დიდია პედიატრიის ინსტიტუტის როლი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაში. წლების მანძილზე აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები პიმენ ყურაშვილი, ირაკლი ფაღავა, მიხეილ მჭედლიშვილი, რას გვეტყოდით ინსტიტუტის შესახებ, მის როლზე ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში?

— პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ბავშვთა სამედიცინო დახმარების მეთაური სამეცნიერო დაწესებულებაა პულმონოლოგიური კლინიკური კარდიოლოგიის, ნერვიულ სნეულებათა, ჰემატოლოგიის, კლინიკური ალერგოლოგიის, ინფექციურ დაავადებათა, სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის, ახალშობილთა ფიზიოლოგიისა და კარდიოლოგიის და ჩვილ ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის კლინიკური განყოფილებებით. ყველა ცალკეული განყოფილება დარგობრივი ცენტრია, სადაც მუშავდება ის პრობლემები, რომლებიც დღეს ჩვენს რესპუბლიკას აწუხებს.

დღევანდელ ურთულეს სიტუაციაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდა თაობა, უკიდურესი სოციალური გაჭირვების ჟამს, ქართულ ოჯახებს დაეკარგა შვილიანობის სურვილი, ჩვენს სამშობიარო სახლებში მშობიარეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამას გარდა, ყველა ომზე უფრო საშიში და უმძიმესი შედეგები მოაქვს ნარკომანიას, რამაც, სამწუხაროდ, ასეთი ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენში, რადგან ცნობილია რომ ნარკომანი არა მარტო თავის თავს ისპობს ფიზიკურად, არამედ წირავს შთამომავლებსაც. ასეთ სიტუაციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული გენოფონდის შენარჩუნებასა და ჯანსაღი თაობის აღზრდას. პედიატრიის ინსტიტუტში შეიქმნა სამედიცინო გენეტიკის ლაბორატორია, რომლის მიზანია შეისწავლოს თანდაყოლილი, გენეტიკურად პირობადადებული დაავადებების მუცლადყოფნის დიაგნოსტიკა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ, სამწუხაროდ, აპარატურის უქონლობის გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ პრობლემების გადაწყვეტა.

— მოგეხსენებათ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საშიში-ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკურ აცრებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში?

— საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად პედიატრიის ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით შემუშავებულია იმუნიზაციის ახალი კალენდარი და აცრების ჩვენებები და უკუჩვენებები.

აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა მოწინავე ქვეყნების კეთილშობილური დახმარება ასაცრელი მასალების მოწოდებაში. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ჰუმანური დახმარების საშუალებით საქართველოს რესპუბლიკა ასაცრელი მასალით უზრუნველყოფილია.

— ბატონო თამაზ, საგულისხმოა, რომ ბევრი მშობელი დღემდე სკეპტიკურად ეკიდება აცრებს. ისიც საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ხშირად დედების უყურადღებობას (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვებთან) მივყავართ დაავადებების გამწვავებამდე, რაც არც თუ იშვიათად ტრაგიკულად მთავრდება. რა კეთდება პედიატრიის ინსტიტუტში ახალგაზრდა დედათა კონსულტაციის მიზნით?

—სამეცნიერო მიღწევების პროპაგანდისა და პედიატრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაარსდა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი — „საქართველოს პედიატრი". ამან გააადვილა შესაბამისი ინფორმაციების მიწოდება პერიფერიებში მომუშავე პედიატრთათვის. ახალგაზრდა დედებს ვურჩევდით ხშირად მიიღონ კონსულტაციები შესაბამისი რაიონის თუ უბნის პედიატრთან. ამას გარდა, სასურველი იქნება ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტებს მოსახლეობაში სანიტარიული განათლების გაუმჯობესების მიზნით ხშირად ეხვდებოდეთ პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში.

— როგორ არის დაყენებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ინსტიტუტში და ახალგაზრდობის როლი ამ მუშაობაში?

— სამწუხაროდ, საყოველთაო მიგრაციის სენი ახალგაზრდა მედიკოსებსაც მოედო. თუ როგორღაც არ ეშველა მდგომარეობას, მოკლე ხანში მოწმე გავხდებით ჩვენი ინტელექტუალური სამეცნიერო ახალგაზრდობის ემიგრაციისა საზღვარგარეთ. საბედნიეროდ, არიან ენთუზიასტებიც და დღეს პედიატრიის ინსტიტუტში ამინდს სწორედ ამ ახალგაზრდათა ნაწილი ქმნის. რა თქმა უნდა, დიდი საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტასთან ერთად პედიატრიის ინსტიტუტის ძირითადი საქმიანობა განისაზღვრება თანამედროვე დონის სამეცნიერო კადრების აღზრდით. მარტო 1989-1993 წლებში პედიატრიის ინსტიტუტში შესრულებულია 15 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია, დამთავრებულია გათვალისწინებული 23 სამეცნიერო შრომა, მეცნიერ-თანამშრომლებმა სხვადასხვა ქვეყნების სპეციალურ ჟურნალებში გამოაქვეყნეს 213 სტატია. მათ შორის, — 42 სხვადასხვა კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მასალებში.

ესაუბრა

ეკა ლეჟავა,

რედაქციისაგან: პედიატრიის ინსტიტუტს, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან და საჭირო სამუშაოს ასრულებს, ღარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს: — ინსტიტუტის გაფართოებისა და მისთვის შენობის გამოყოფის საკითხი დღემდე ვერ გადაწყდა. დიახ, პრობლემა ყველგან მრავლად არის, მაგრამ დაწესებულება, რომელსაც უდიდესი მისია აკისრია მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების, მომავალი თაობის, ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს. მით უფრო, რომ წლევანდელი წელიწადი, როგორც ვთქვით, ინსტიტუტისთვის საიუბილეოა.

მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად იზრდება

ამ პრობლემას განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

თუ პლანეტის მოსახლეობის აშკარად გამოხატული დაჩქარებული ზრდის ტენდენცია ასეთივე დარჩება, უკვე 2025 წლისათვის დედამიწაზე დაახლოებით 9.1 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს. ამჟამად დედამიწის მოსახლეობა 5,7 მილიარდს შეადგენს. ბოლო გამოკვლევების მონაცემების თანახმად მსოფლიოს მოსახლეობა წელიწადში 90 მილიონი კაცით იზრდება.,

ამათი 93 პროცენტი იბადება განვითარებად ქვეყნებში. მოსახლეობის ერთიდან 2 მილიარდამდე ზრდას 123 წელიწადი დასჭირდა. შემდგომში ეს პერიოდი არსებითად იცვლებოდა: 2-დან 3 მილიარდამდე — 33 წელიწადი. შემდეგ — 14, ბოლოს — 13 წელიწადი. 5-დან 6 მილიარდამდე ზრდას, რომელიც 1998 წელს უნდა დამთავრდეს, კაცობრიობა 11 წელიწადში დასძლევს.

მოსახლეობის სწრაფი ზრდის პრობლემას განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ზრდის საკითხების კონფერენცია, რომელიც კაიროში 5-13 სექტემბერს გაიმართება. მისი გადაწყვეტილების პროექტი შეიცავს მსოფლიოს ქვეყნების მთავრობების მიერ შემოთავაზებული მოქმედების პროგრამას. ძირითადად იხილავენ ოჯახებში ბავშვთა დაბადების დაგეგმვის საკითხს. მოსამზადებელი კომიტეტის სხდომებზე ამ პრობლემის გარშემო ერთ თვალსაზრისს ვერ მიაღწიეს და მისი გადაწყვეტა კაიროს კონფერენციამდე გადაიდო.

სწორად ვმეტყველებთ?

ერის თავისთავადობის ერთი ძირითადი ნიშანი ეროვნული ენაა, ჩვენ კი მშობლიურ ქართულ ენას ჯეროვნად ვერ ვუფრთხილდებით, იმის მიუხედავად, რომ დედა ენა მუდმივი საზრუნავია და მისი სიწმინდის დაცვა ჩვენი ვალია. აკი ჩვენი დიდი წინაპრებიც გვაფრთხილებენ — „რა ენა წახდეს, ერი დაეცესო".

ახლა კონკრეტულად ქართული ენის ლექსიკურ მხარეს, მის სამეტყველო კულტურას შევეხოთ.

ტელე-რადიოგადაცემებშიც გაპარულა ასეთი ლაფსუსი და პრესის ფურცლებზეც შეგვხვედრია ბევრი უხერხული თქმა, ზეპირ მეტყველებაში ხომ გაუსაძლისად მეტია. მხედველობაში გვაქვს „ვიღაც", „ვიღაცის" და მისთანათა ხმარება, რომლებიც დამცირებისა და უპატივცემლობის გამომხატველია. დიახაც, უსიამო გრძნობა გამოიწვია ერთ სატელევიზიო გადაცემაში ნახმარმა ფრაზამ „ვიღაც გადამწერსო", როცა საუბარი იყო ხელნაწერ წყაროდან სიტყვის დამახინჯებულად გადაწერაზე. მოგეხსენებათ, ხელნაწერის გადაწერა დიდი ღვაწლი იყო, რადგან კატორღულ შრომას მოითხოვდა და ერთი ენობური შეცდომის გამო გადამწერი უდიერად რატომ უნდა მოვიხსენიოთ? აქ ხომ უკეთესი იყო „ვიღაც გადამწერის" ნაცვლად გვეთქვა „ვინმე გადამწერი" რაკილა მისი ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ასეთი თქმა ქართული ენის მადლსა და ლაზათს გვიჩვენებს, უფრო ალერსიანს გახდის მას. „ვიღაც", „ვიღაცას" ნაცვლად გავიხსენოთ როგორ მოხდენილად არის „ვეფხისტყაოსანში": „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისად ამისა", ან კიდევ „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა". მოვიყვანოთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდან" სტრიქონები: „ამისა ეჩვენა მეფეს ჭაბუკი ვინმე შვენიერი", მისივე — „და მისი მოყმე არის დიდებული ვინმე".

ხალხურ მეტყველებაში გავრცელდა და, წარმოიდგინეთ, პარლამენტის ტრიბუნიდანაც გვესმის ხოლმე სიტყვა „დაყაჩაღებას" ხმარება. რა არის დაყაჩაღება და რატომ შემოვუშვით ეს სიტყვა ჩვენს მეტყველებაში? მისი დღევანდელი შინაარსი არის ჩვენი დღევანდელი ყოფის უმძიმესი სატკივარი — ძარცვა, დანგრევა, მკვლელობა, ადამიანის გატაცება და მისთანა სხვა დანაშაული. ასეთი სიტყვა ტერმინად ვაქციეთ და ქართულ ენაში ფართო მოქალაქეობა მივანიჭეთ, რ-ც დასაგმობია.

იმის მიუხედავად, რომ თქვენს გაზეთში რამდენჯერმე დაიწერა, ტელევიზიით (უკლებლივ ყველა არხი და დამოუკიდებელი სტუდია, თითქმის ყველა გაზეთი და პარლამენტის ყველა ორატორი) რუსული Наблюдатель-ის შესატყვისად ხმარობს ტერმინ „დამკვირვებელს", როცა მას სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. აუცილებელია განვასხვაოთ Наблюдатель-ის ქართული შესატყვისები: „დამკვირვებელი", „მეთვალყურე", „მზირი", „მოთვალთვალე"... და მათი შინაარსის შესაბამისად ვიხმაროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ტერმინები სინონიმები არ არის და მათ ცალ-ცალკე შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ. კერძოდ, ამ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ **„მეთვალყურე"** (საერთაშორისო ან სამხედრო **მეთვალყურეები**) და არა „დამკვირვებელი".

თბილისის, და არა მარტო თბილისის ქუჩებში, კალიასავით შემოსეულია „მხატვრულ-დიზაინურ-არქიტექტურული მშვენებანი" — ჯიხურები. შევხედოთ მათს ფირნიშებს ქართულთან ერთად უცხოენოვანებიც რომ აჭრელებენ. საკითხავია, ვინ და რატომ აძლევს უფლებას ენის უცოდინრებს, მეტყველების კულტურის უქონელთ, ეს ყველაფერი ქუჩაში გამოაჭენონ მტერ-მოყვრის დასანახად. სირცხვილის ალმური მოგედება ადამიანს მრავალი მათგანის შემხედვარეს. ერთი მაღაზიის წინ გამოკიდებულია სახელი „დედოფალა" და, რაკი-და საკუთარი სახელი არ ითარგმნებაო, ინგლისურ ენაზეც მიუწერიათ „დედოპჰალა". მის ნაცვლად ხომ ბევრად ჯობდა რუსული ტრანსკრიპციით „დედოპალა" მიეწერათ და ასეთი გზით რუსულენოვან მეტყველებაში ქართული ლექსიკური ერთეული შეგვეტანა? არც თუ დიდი ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის რუსულენოვან პრესაში „სბორ ვინოგრადის" ნაცვლად „რთველი" რომ იხმარებოდა, უფრო პრაქტიკული და გამართლებული არ იყო?

რა ენა წახდეს...

პრესაში გახშირდა უცხოური ტერმინების ხმარება. ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მენეჯერი, ბროკერი, სპონსორი, იმიჯი, დაიჯესტი და სხვა. ჩვენთვის გასაგებია, რომ ენათა ურთიერთგავლენით მათი ლექსიკური ფონდი მდიდრდება, ოღონდ თითოეული ეროვნული ენა ახალი საგნისა და მოვლენის გამომხატველ სიტყვა-ტერმინს, უპირველესად, თავის წიაღში ეძებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერ იპოვნის, სხვა ენიდან შემოტანილს გაითავისებს, თავის ჩოხა-ახალუხს მოარგებს. გავიხსენოთ, მაგალითად, დედამიწიდან გაშვებული მფრინავი აპარატი კოსმოსურ სხეულად რომ იქცა, თავიდანვე მას ქართულ ენაში მიეკუთვნა დედამიწის „ხელოვნური თანამგზავრის" სახელი და ასეთად დამკვიდრდა. ჩვენს ენაში „სპუტნიკი", როგორც ტერმინი, არ შემოგვიტანია, თუმცა სხვა ენებში ის გამოიყენეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართულ ენას დიდი კიდობანი აქვს და, თუ მოვინდომებთ, მასში მრავალ მარგალიტს ვიპოვით. საფიქრალი და საზრუნავია ისიც, რომ იოლად არ გაგვიტაცოს სხვა ენებიდან შემოტანილი სიტყვების ხმარებამ.

მინდა გაგახსენოთ ამას წინათ პრესაში მოთავსებული ერთი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატას დაუდგენია ჯარიმა იმათ მიმართ, ვინც პრესაში, საჯარო გამოსვლებში, დისკუსიებში და ა. შ. გამოიყენებს იმ ინგლისურ სიტყვებს, რომელთა ეკვივალენტური სიტყვები ფრანგულ ენაში არსებობს. საამისოდ მოამზადეს და გამოსცეს 3500-სიტყვიანი ცნობარი. საქმეში ჩართულია პოლიციის სამსახურიც.

ვულგარიზმების მოძალება ხელწამოსაკრავი ფაქტორი არასოდეს ყოფილა. ახლა ყურადღება უნდა გაამახვილონ არა მარტო ფილოლოგებმა, ეს ყველა მოქალაქემ საკუთარ მოვალეობად უნდა მიიჩნიოს, რომ მოძალებულ რუსულ კალკებსაც ვაჯობოთ.

არც თუ დიდი ხნის წინათ, როცა არსებობდა საქართველოს მინისტრთა საბჭო, მასთან მაღალნაყოფიერად მუშაობდა ქართული ენის ნორმების დამდგენი კომისია. ამ მაღალავტორიტეტულ ორგანოს ხელმძღვანელობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თანამდებობრივად კომისიაში შედიოდნენ ცნობილი ენათმეცნიერები და სხვა დარგების წამყვანი სპეციალისტები. კომისიის მიღებული გადაწყვეტილება კანონის ძალას იძენდა. დღეს ასეთი მუშა ორგანო არ ჩანს, აღარც ქართული ენის დიდი დარაჯები აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ივანე გიგინეიშვილი გვყავან. მათთან ერთად მიხეილ ჭაბაშვილი და სხვა ცნობილი ენათმეცნიერები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ლექციებით, იღწვოდნენ დედა ენის სიწმინდის დასაცავად, მათი საზრუნავი დღეს თუ ყველამ გავითავისეთ, შეძლებისდაგვარად დავდგებით დედა ენის სიწმინდის სადარაჯოზე, ერის მთლიანობის მძლავრი გარანტიაც გვექნება. ისიც საინტერესოა, თუ რატომ ურიგდება ასეთ მდგომარეობას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ხომ მისი თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობაა?!

ქართული ენა მარტო ქართველების კუთვნილება არ არის. მას საქართველოს მოქალაქეთა ურთიერთობის მთავარი და მძლავრი ინსტრუმენტის ფუნქციაც აქვს მინიჭებული. ამიტომ მისი მოვლა-პატრონობა ყველას საქმედ უნდა იქცეს. მრავალი არაქართველიც ხომ სიამოვნებით საუბრობს ქართულად.

ვფიქრობთ, ჩვენი პოზიცია იმით უნდა გამოიხატოს, რომ ქართული ენის დაცვის ყველაზე მარტივი, ნამდვილად შედეგიანი ხერხია საქართველოს ყველა მოქალაქემ ქართულად მეტყველებისას ილაპარაკოს ქართული სიტყვებით.

ალექსანდრე ირემაშვილი.

ხსოვნა

ალექსი ბატიაშვილი



გარდაიცვალა ალექსი გიორგის ძე ბატიაშვილი. დაიბადა 1915 წელს, სოფელ წინანდალში, ღარიბი გლეხის ოჯახში. გლეხურ-ახალგაზრდული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბაკურციხის მევენახეობა-მეღვინეობის ტექნიკუმში. მოგვიანებით დაამთავრა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

იგი ჯერ მშობლიურ სოფელში აგროტექნიკოსად, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა, 1941 წლიდან კი საქართველოს კპ თელავის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად გადაიყვანეს. სხვადასხვა დროს იყო სოფლების — ქვემო ხოდაშნისა და წინანდლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, თელავის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ერთწლიანი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა საქართველოს კპ თელავის რაიკომის მდივნად. 1955 წლიდან იყო კომპარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივანი, თელავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი, 1973 წლიდან პენსიაში გასვლამდე კი მუშაობდა ღვინის მრეწველობის წინანდლის საწარმოო გაერთიანების დირექტორად.

ალექსი ბატიაშვილის ქვეყნისთვის სასიკეთო შრომა აღნიშნული იყო არაერთი სამთავრობო ჯილდოთი, ორდენებითა და მედლებით.

ალექსი ბატიაშვილის, როგორც ღირსეული ქართველი კაცის, ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულში.

კახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი, თელავის რაიონის გამგეობა.

გივი ყალაბეგიშვილი



კიდევ ერთი ჩინებული პიროვნება გამოაკლდა ტურიზმის მუშაკთა მრავალათასიან კოლექტივს და ქართული ალპინიზმის სკოლას. გარდაიცვალა საქართველოს ტურიზმის დამსახურებული მუშაკი, სპორტის ოსტატი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მრავალი სამთავრობო ჯილდოს მფლობელი გივი ალექსანდრეს ძე ყალაბეგიშვილი.

დაიბადა 1917 წელს ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ ვოლსკის სამხედრო-საავიაციო სკოლა. 1940 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში, ომში საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა ჯილდოები.

თავისი შრომითი საქმიანობა ბატონმა გივიმ საქართველოს ტურიზმის აღორძინებასა და განვითარებას მოახმარა, რომლის სისტემაში 37 წელზე მეტი იმუშავა. თავისი მოღვაწეობა დაიწყო ქუთაისის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზის მეთოდისტად, შემდეგ მუშაობდა ყოფილ. საკავშირო № 48 და № 80 მარშრუტების უფროს ინსტრუქტორ-მეთოდისტად, ქუთაისის ტურიზმის სექციის თავმჯდომარედ, შოვის საკონტროლო-სამაშველო სამსახურის უფროსად, ხოლო 1975 წლიდან ქუთაისის ავტოკემპინგის დირექტორად, 1962 წლიდან უცვლელად იყო ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" გამგეობის თავმჯდომარე საზოგადოებრივ საწყისებზე.

ბატონმა გივიმ უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ტურიზმის განვითარებაში. ფეხით ჰქონდა მოვლილი მთელი საქართველო, იყო მრავალი საინტერესო ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთი შემოქმედი, მათ შორის პირველი საცხენოსნო მარშრუტის დამფუძნებელი, სისტემაში პირველი დამხმარე მეურნეობის დამაარსებელი.

ამასთან, გ. ყალაბეგიშვილი იყო მაღალკვალიფიციური ალპინისტი. მას ქართველ ალპინისტებთან ერთად დალაშქრული ჰქონდა მრავალი ურთულესი მწვერვალი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რისთვისაც მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის წოდება.

იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე დარჩა ინიციატივიან, ენერგიულ ხელმძღვანელად, რომელმაც ბევრი ახალგაზრდა დააკვალიანა ცხოვრებაში, უხვად თესავდა სიკეთეს.

მაღალი პროფესიონალის, ჭეშმარიტი პატრიოტი ვაჟკაცის, სიცოცხლის ტრფიალის, კეთილშობილების განსახიერების, ბატონ გივი ყალაბეგიშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი ნაცნობების, მეგობრებისა და კოლეგების გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის კოლექტივი, საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის ვეტერანთა საბჭო.

შვილები ნოდარ ჯაველიძე, ნათელა, შვილიშვილები პაატა, ლაშა, ლელა, შვილთაშვილები ნოდარი, არჩილი, ლიკა, რძლები მერი დიხამინჯია, ლორენა ლორთქიფანიძე, ანგელინა შეწირული, სიძე თენგიზ გველესიანი, დები ქეთო, ბაბუცა, ეჟენია, ციალა, მულები ნარო, ქსენია, ნათელა, მძახლები ვერა, ოთარ დიხამინჯიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანიკო გლახუნას ასული კალანდაძე.

დაკრძალვა 27 VIII, 4 ს. ახკანაში (ოზურგეთის რ.).

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ნოდარ ჯაველიძეს დედის

ანიკო გლახუნას ასულ კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ რუხაძეს დედის

თამარ არჩილის ასულ კაკაბაძის

გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია საქმიან ადამიანებს, მეწარმეებს, ფირმებს, კერძო პირებს!

საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი ცენტრი
„ელადა"

გიწვევთ ქალაქ სალონიკში საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე მონაწილეობის მისაღებად.
სალონიკის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა ტრადიციულია და უკვე 59-ჯერ უერის თავს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საქმიან წრეებს.
1994 წლის 10-დან 19 სექტემბრამდე საქართველოს წარმომადგენლებსაც მიეცემათ საშუალება ამ პრესტიჟულ გამოფენაზე წარსდგნენ თავიანთი პროდუქციითა თუ ნედლეულით.
საყურადღებოა, რომ ქალაქ სალონიკში 14-დან 17 სექტემბრის ჩათვლით, აგრეთვე მოეწყობა ბეწვეულისა და ტყავის ნაწარმის პირველი საერთაშორისო გამოფენაც.

თუკი დაინტერესდებით, მოგვმართეთ მისამართზე:
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74,
მე-14 სართული. ფირმა „ელადა"
ტელ: 29-91-13, 29-18-34

რეკლამები დამზადებულია ფირმა „დრონის" კომპიუტერულ ცენტრში. ტელ: 93-15-00

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

ინდექსი 66434